ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 22 ნოემბერი 2002 №223 (1745) | ფასი 50 თეთრი





ეს ბავშვები იტალიის ნაკრების თბილისში ჩამოსვლას აეროპორტში შუაღამემდე ელოდნენ, საქართველოს ნაკრების ყველა ფეხბურთელს კი ეგებ ვერც ცნობდნენ

# აქ არაფერი გვახარებს

## დიდი თამაში

## იმუნიტეტიანები VS ნაგავქექიები

რა იქნებოდა, ნორმალურ ქვეყანაში რომ გვეცხოვრა? ისეთში, სადაც ტერორი ყოველდღიურობა არ არის და უშფოთველად ჩავლილი დღისა არავის უკვირს. ისეთში, რომელსაც არ ბომბავენ და ტერიტორიებს არ აჭრიან. საიდანაც იმუნიტეტამოფარებულ მკვლელებს არ აპარებენ, უიმუნიტეტიანებს კი ფეხქვეშ მიწა სულაც არ ეწვით, ხოლო სხვა იმუნიტეტიანები ერთმანეთს თავპირს არ ამტვრევენ. იქ, სადაც ადამიანის გამტაცებლობა მოდური ხელობა არ არის და უამრავი ადამიანი, რომელთაც ამის შნო არ აქვს, ნაგავში იქექება.

რა იქნებოდა და, სამსახურიდან მიბრუნებულ კაცს განათებულ-გამთბარი სახლი დახვდებოდა, უქმეებზე კი შვილს ხელს ჩაავლებდა და სტადიონზე ან სადმე სხვაგან გასწევდა.

სტადიონზე კი ნახავდა ისეთ თამაშს, როგორის ნახვასაც დღეს ტელევიზორში თუ ახერხებს. ისევე დაელოდებოდა დიდ დერბის, როგორც ამ უქმეებზე მილანელები ელიან და არ გაიხდიდა საქომაგო გუნდად თუნდაც „მილანს", რაკი იქ ერთი ქართველი თამაშობს ან „მიდტიულანდს", რადგან ტოტალიზატორში მის მოგებაზე ფსონს ჩასულა და ამით ცდილობს ორი კაპიკის შოვნას. და თუ მეფსონეობის ტრფიალია, ისევ შინაური ჩემპიონატის მატჩებზე ჩავიდოდა ფულს — როგორც ეს ნესიერ ქვეყნებში ხდება და იმის შიშიც არ ექნებოდა, რომ მავანი გუნდი შესაძლოა, საკუთარ წაგებაზე დანიძლავდეს.

ამავე დროს, სულაც არ გაუკვირდებოდა ის ამბავი, რომ ვთქვათ, ინგლისელ ქომაგს მაინცდამაინც არ აინტერესებს როგორ ითამაშა სტივ მაკმანამანმა „რეალში", რამეთუ უკეთეს მაკმანამანებს ყოველ შაბათ-კვირას ცოცხლად უყურებს.

ჩვენ კი გვიხარია, რომ კახა კალაძემ რომელიღაც მატჩში ფილიპო ინძაგის საგოლე პასი ჩააწოდა, ხოლო შოთა არველაძემ კიდევ ერთი რეინჯერსული გოლი გაიტანა. უბრალოდ ძნელად თუ წარმოვიდგენთ, რომ იმავ „რეინჯერსის" დონის — ზოგადევროპული მასშტაბით დიდი ვერაფერი გუნდი შეიძლება ჩვენც გვყავდეს.

გვიხარია ის, რომ ნბა-ს ბოლო ტურში ვლადიმერ სტეფანიამ „დეტროიტის" წინააღმდეგ 24 წუთი ითამაშა, 12 ქულა მიითვალა და 13 ბურთი მოხსნა. ნიკა ცქიტიშვილის „იუტასთან" ნათამაშევი 9 წუთი და 2 ქულაც გვიხარია. და მერე რა, რომ სტეფანიას „მაიამი" 15-გუნდა აღმოსავლეთ კონფერენციაში, ცქიტიშვილის „დენვერი: კი დასავლეთის 14-გუნდაში მე-13 ადგილებზე არიან.

ხვალ კი მილანური დერბია და ქართველი ქომაგი კახა კალაძის „მილანს" უქომაგებს, თუ ფსონს „ინტერზე" არ ჩავა.

და დღეს რითი ისიამოვნოს? დღეს „მერანი" — „კოლხეთია"...

საქართველოს უმაღლესი ლიგა 14 ჩემპიონატი
პირველი ეტაპი

# 18 ტური



[illegible] ფოტო

პირველ წრეში დავით გოდერძიშვილის (№10) „სიონი" გიორგი ლომაიას (№1) „ლოკომოტივს" სტუმრად დაეჩაგვრინა

# გადაიწერეთ პირჯვარი და ითამაშეთ ფეხბურთი

**6 ნოემბრიდან** მოყოლებული ეროვნული ჩემპიონატისა და ქართული ფეხბურთის ქომაგებს მოსაწყენად არ მოუცლიათ. ამ ხნის მანძილზე ოთხი ისეთი თამაში ვნახეთ, ზოგიერთები ძალიან რომ აღაფრთოვანა და ხმამაღლა ათქმევინა, ჩემპიონატის დონემ საგრძნობლად იმატაო.

დონის ამაღლებისა რა მოგახსენოთ, მანამდე კიდევ დიდი გზაა გასავლელი, თუმც დაძაბულობა და ინტერესი რომ იზრდება, ამის უთქმელობა არ ეგების.

მეთვრამეტე ტური, რომელიც დღეს „მერანი" — „კოლხეთის" მატჩით დაიწყება, წინა სამისგან განსხვავებით, ნაკლებად საინტერესო იქნება. თუმც ორი, შედარებით დაძაბული თამაში დღეს და ხვალ, გიორგობას მაინც შეიძლება ვიხილოთ.

მთავარი დაპირისპირება ბოლნისშია მოსალოდნელი. ინტერტოტოზე მელცნებე „სიონი" განახლებული, საჩემპიონო ამბიციებით შეპყრობილ „ლოკომოტივს" მასპინძლობს.

თემურ მახარაძეს, ვისაც თავის დროზე „ლოკომოტივიც" გაუწვრთნია, უკანა ხაზის ერთ-ერთი საიმედო მოთამაშე ირემაშვილი დააკლდება. „სიონის" მცველს წინა ტურში მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გუშინწინ დისციპლინარებმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. დანაკლისი სერიოზულია, თუმც მახარაძეს სამარქაფოებში ირემაშვილის შემცვლელებიც ეგულება. გოგიტაძე და კვეკვესკირი რა ხანია, შანსს ელიან.

უფრო რთულადაა „ლოკომოტივის" საქმე. ლუის ცაკარიასი „თემურ სტეფანიაზე" ვერ გაიყვანს გუნდის კაპიტან გიორგი ბალაშვილს. მან 19 ნოემბერს „დინამოსთან" მატჩში მესამე გაფრთხილება მიიღო. მისი ბედი გაიზიარა დავით ჭიჭვეიშვილმა და იმავე მიზეზით „სიონს" ვერც ის შეეტოქება. ცაკარიასის კიდევ ერთი პრობლემა ზაზა ლაცაბიძის დისკვალიფიკაცია იქნება ლაცაბიძე „ლოკომოტივი" — „ვიტ ჯორჯიას" დრამატულ თამაშში ჩხუბისთავად მონათლა მსაჯ-ინსპექტორმა და სადისციპლინო კომიტეტმაც ორი ტურით იძულებით დასვენება უბრძანა.

მართალია, რკინიგზელებს შთამბეჭდავი სათადარიგოთა სკამი აქვთ, მაგრამ ერთდროულად ბალაშვილის, ჭიჭვეიშვილისა და ლაცაბიძის ღირსეული შემცვლელის პოვნაც საძნელო საქმეა.

ვიდრე დღევანდელ „მერანი" — „კოლხეთზე" მოგახსენებდეთ, მანამ სხვა სახვალიო თამაშებზეც ვთქვათ. ოთხივე ისეთი მატჩია, სადაც წყვილში ერთი აშკარა ფავორიტია. ჩემპიონი „ტორპედო" ქაზურ „მილანს" მასპინძლობს და როგორ გგონიათ, გამარჯვების გარდა სხვა შედეგზე ყაბულს იქნება? ჩემპიონობის მაძიებელი შუშაკის „დინამო" რუსთავში ჩადის და თავს წაფორხილების უფლებას მისცემს? კიდევ ერთი, საპრიზოებისთვის მებრძოლი „ვიტ ჯორჯია" „დილას" სტუმრად იწვევს და უკან გახარებულს გაუშვებს? „ბათუმი" მოვალეობის მოხდის მიზნით მოთამაშე „მეტალურგს" დაუხვდება და ყველა ღონეს არ მიმართავს, ახალი სპონსორი რომ გამარჯვებით გაახაროს?

დღეს კი ავჭალაში ორი არცთუ შეხმატკბილებული გუნდის დაპირისპირებაა. „მერანს" და „კოლხეთს" ერთმანეთისთვის უხერხული მეტოქეებიც შეიძლება ვუწოდოთ. ოთარ გაბელიას გუნდს შეძლებული პატრონი დროულად გამოუჩნდა, გაყინული „მერანიც" გალღვა, ფეხბურთელებიც დანაყრდნენ და ფერზე მოვიდნენ. მაღაც ჭამაში მოდისო და სანამ შანსია, ზეექვსეულზეც დაიწყეს ფიქრი. ამის წინაპირობად „კოლხეთის" „სინათლეზე" წაქცევა მიაჩნიათ.

სოსო ფილიას კი, მიძალებული ტრავმიანობის გადამკიდეს, სეზონის დასაწყისიდან ძირითადი შემადგენლობით თითქმის არ უთამაშია. დღესაც რამდენიმე გუნდისთვის მეტად საჭირო მოთამაშეს ვერ გაიყვანს მოედანზე და მეტოქეც კბილებალესილია. ვნახოთ, არ არის გამორიცხული, ისედაც დაძაბული მეთოთხმეტე ჩემპიონატი მთლად ჩაიხლართოს.

**მამუკა ქვანტალიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 14 | 1 | 2 | 40:5 | 43 |
| ტორპედო | 17 | 13 | 2 | 2 | 37:11 | 41 |
| ლოკომოტივი | 17 | 12 | 1 | 4 | 29:9 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 12 | 1 | 4 | 29:11 | 37 |
| სიონი | 17 | 8 | 2 | 7 | 23:22 | 26 |
| კოლხეთი | 17 | 7 | 2 | 8 | 19:27 | 23 |
| მერანი | 17 | 5 | 3 | 9 | 19:30 | 18 |
| მეტალურგი | 17 | 5 | 1 | 11 | 10:35 | 16 |
| ბათუმი | 17 | 3 | 5 | 9 | 12:23 | 14 |
| გორდა | 17 | 4 | 0 | 13 | 15:31 | 12 |
| დილა | 17 | 3 | 3 | 11 | 9:24 | 12 |
| მილანი | 17 | 3 | 3 | 11 | 9:30 | 12 |

პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩაეთვალათ 0:3 წაგება.
მეცხრე ტურში „მეტალურგს" „ვიტ ჯორჯიასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3.
მეთორმეტე ტურში „მერანს" „გორდასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3.
მეთექვსმეტე ტურში „მეტალურგს" „ტორპედოსთან" ჩაეთვალა წაგება 0:3.

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 11 - იონანიძე | ტორპედო |
| 10 - მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 9 - დარასელია | დინამო |
| 8 - შაშიაშვილი | სიონი |
| 7 - გოდერძიშვილი | სიონი |

თბილისი. სინათლე. 22 ნოემბერი. 15 საათი
**მერანი — კოლხეთი**
მსაჯები: მ. მაღალურიძე, ზ. ჯვარიძე, კ. თბილელი; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია

თბილისი. შევარდენი. 23 ნოემბერი. 15 საათი
**ვიტ ჯორჯია — დილა**
დისკვალიფიცირებული: კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია)

ბათუმი. დინამო. 23 ნოემბერი. 14 საათი
**ბათუმი — მეტალურგი**
დისკვალიფიცირებული: არჩვაძე (ბათუმი)

ქუთაისი. ტორპედო. 23 ნოემბერი. 15 საათი
**ტორპედო — მილანი**

რუსთავი. ფოლადი. 23 ნოემბერი. 15 საათი
**გორდა — დინამო**

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 23 ნოემბერი. 15 საათი
**სიონი — ლოკომოტივი**
დისკვალიფიცირებულნი: ირემაშვილი (სიონი), ზ. ლაცაბიძე, ჭიჭვეიშვილი, ბალაშვილი (სამივე ლოკომოტივი)

---

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ფეხბურთელი, სპორტის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე
**ქახი ასათიანი**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

---

საფეხბურთო კლუბი თბილისის „ვიტ ჯორჯია" მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ფეხბურთელის
**ქახი ასათიანის**
ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

---

საფეხბურთო კლუბი თბილისის „ლოკომოტივი" მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ფეხბურთელის
**ქახი ასათიანის**
ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

---

საფეხბურთო კლუბი გორის „დილა" მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ფეხბურთელის
**ქახი ასათიანის**
ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

---

სპორტის ეროვნული ფონდის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფონდის პრეზიდენტი
**ქახი ასათიანი**
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

---

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო" დამწუხრებულია თავისი ყოფილი ფეხბურთელის, მწვრთნელისა და გუნდის უფროსის
**ქახი ასათიანის**
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

---

ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ფეხბურთელი, სპორტის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე
**ქახი ასათიანი**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

---

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ადმინისტრაცია მწუხარებით იუწყება გამოჩენილი ფეხბურთელის
**ქახი ასათიანის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს

---

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ფეხბურთელი, სპორტის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე
**ქახი ასათიანი**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

---

## რუსეთი

### მატჩი პირველი ადგილისათვის

ცსკა 0:1 ლოკომოტივი



REUTERS

საჩემპიონო თასი გამარჯვების გოლის გამტანმა, „ლოკომოტივის" კაპიტანმა დმიტრი ლოსკოვმა აღმართა

*გუშინწინ კახი ასათიანი მოკლეს, მოკლეს მიპარვით, ვერაგულად. ქართული ფეხბურთის ყველაზე ელეგანტური მოთამაშე მოკლეს. წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, 1999 წლის 21 იანვრის „სარბიელში" დაიბეჭდა რუბრიკით „ქართველები საბჭოთა ნაკრებში". ვფიქრობთ, უპრიანი იქნება კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი კახი ასათიანის ერთობ საინტერესო საფეხბურთო კარიერას*

# მოედანზე იყო თავადი



1973 წელი. „დინამო" — „ტოტენჰემი" 1:1. ინგლისელებს ერთადერთი თბილისური გოლი კახი ასათიანმა გაუტანა

სამოციან წლებში უმაღლესი კლასის თავდამსხმელებით განებივრებულ თბილისის „დინამოს" გულშემატკივრებში მაინც არსებობდა სურვილი, თავიანთ საყვარელ გუნდში ეხილათ მაღალი, ძლიერი, ეგრეთ წოდებული ტარანული ტიპის ცენტრფორვარდი, რომელსაც შესანიშნავად შეეძლებოდა როგორც ორივე ფეხით, ისე თავით თამაში. ეს ან ინგლისური ფეხბურთის გაცნობის გამოძახილი იყო (1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ხომ პირველი იყო, რომელიც ქართველმა ტელემაყურებელმა ნახა), ან სახელგანთქმული მოსკოვის ტორპედოელი ედუარდ სტრელცოვისნაირი ფორვარდის ხილვისა. ამიტომ, 1966 წლის სეზონის შუაში გულშემატკივარი აღფრთოვანებით შეხვდა გუნდში ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელის კახი ასათიანის გამოჩენას. თითქოს ყველაფრით გამორჩეულ „დინამოს" თავდასხმას მხოლოდ ასეთი ფორვარდიღა აკლდა.

კახი ასათიანს ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე ურიგოდ არ უთამაშია, გოლებიც გაიტანა თავის სადებიუტო სეზონში, მაგრამ თანდათან ცხადი გახდა, რომ გულშემატკივრების იმედს „ტარანულ ცენტრფორვარდზე" ასრულება არ ეწერა. სამაგიეროდ, „დინამომ" შეიძინა შესანიშნავი ნახევარმცველი, რომლის სათამაშო აზროვნება და მოქმედების დიაპაზონი იმთავითვე გუნდის ლიდერის როლზე ამკვიდრებდა ახალგაზრდა ფეხბურთელს. 1967 წელს, როდესაც თავის უკანასკნელ სეზონს ატარებდა „დინამოში" მისი მრავალი წლის კაპიტანი შოთა იამანიძე, კახი ასათიანი თბილისის „დინამოს" შუახაზის ცენტრალურ ფიგურად იქცა და მოედნის შუაგულში მისმა უნარიანმა თამაშმაც განაპირობა „დინამოს" ნახევარდაცვის სიძლიერე (იმ სეზონში ამ ხაზში ასათიანისა და იამანიძის გარდა თამაშობდნენ — სერგო კუტივაძე, გიორგი სიჭინავა, ალექსანდრე ილიადი, გურამ პეტრიაშვილი) და „დინამომ" ჩემპიონობის შემდეგ კვლავ შეძლო უძლიერეს სამეულში მოხვედრა — ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

კახი ასათიანის თამაშმა მაშინვე მიიქცია საბჭოთა ნაკრების მესვეურთა ყურადღება და უკვე 1968 წელს 21 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს. ნაკრები მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადებოდა. ეს კიევის „დინამოს" ტრიუმფალური გამარჯვების წელი გახლდათ საკავშირო ასპარეზზე. კიეველების სამწლიანი ბატონობის განმსაზღვრელი მათი შესანიშნავი ნახევარდაცვის ხაზი იყო და, მიუხედავად ამისა, კახიმ საკმაოდ ადვილად დაიმკვიდრა ნაკრებში ადგილი. ხოლო 1969 წელს ნაკრების შუახაზი კიეველების — ვიქტორ სერებრიაკოვის, ვლადიმირ მუნტიანის და თბილისელი კახი ასათიანის შემადგენლობით საუკეთესო რგოლი იყო საბჭოეთის პირველ გუნდში. გუნდი შესარჩევ ტურნირში ძალიან ადვილ ჯგუფში მოხვდა თურქეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებებთან ერთად და მათთან გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა ნახევარდაცვის და მათ შორის კახი ასათიანის ბრწყინვალე თამაშმა. ასე რომ, 1970 წელს, როდესაც საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა გამოცხადდა მექსიკაში წასასვლელად, კახი ასათიანი უპირობოდ ითვლებოდა მის პირველ ნომრად.

1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბევრი დაწერილა. მათ შორის ჩვენც გვითქვამს, რომ მსოფლიოს ამ პირველობაზე ქართველი ფეხბურთელების მიმართ კეთილად განწყობილმა, 1964 წლის თბილისის „დინამოს" „ოქროს სეზონის" შემქმნელმა გავრილ კაჩალინმა მექსიკაში ექვსი ჩვენებური ფეხბურთელი წაიყვანა: ანზორ კავაზაშვილი, რეზო ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, კახი ასათიანი, გივი ნოდია და სლავა მეტრეველი. სწორედ ამიტომაც მის საქმეში ზომაზე მეტად ჩაერივნენ საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები, რომელთაც არაფრად ეპიტნავათ ასეთი ეროვნული თანაფარდობა ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში.

საბჭოთა ნაკრები ჯგუფში მასპინძლებთან, ბელგიელებთან და სალვადორის ნაკრებთან ერთად მოხვდა და მაღალ დონეზე მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა ბელგიის ნაკრებთან. სწორედ აქ გაიბრწყინა კახი ასათიანმა, რომელიც მუნტიანთან ერთად მოედნის შუაგულის სრული ბატონ-პატრონი იყო და შესანიშნავი გოლიც გაიტანა ბელგიელთა კარში. იგი ცრუ მოძრაობით გასცდა ბელგიელ მცველს და ზუსტად მოათავსა ბურთი მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში, ჩემპიონატის საუკეთესო გოლებშიც შევიდა. კახი ასათიანის თამაშმა უმალ მიიპყრო მსოფლიოს ფეხბურთის სპეციალისტთა ყურადღება და ეს მით უფრო სასიხარულო იყო, რომ ბრაზილიის ბრწყინვალე გუნდს, გერმანელთა ვარსკვლავებით სავსე შესანიშნავი ნაკრებისა და მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისელთა ფონზე ჩვენი ახალგაზრდა ნახევარმცველიც არ დარჩენილა ყურადღების გარეშე.

მიუხედავად ამისა, კახი ასათიანი ბელგიელებთან შესანიშნავად ჩატარებული მატჩის შემდეგ სალვადორთან არ გამოიყვანეს, ვითომ დასვენების მიზნით. ამან იგი ჩვეული რიტმიდან ამოაგდო. მეოთხედფინალში კი კახი რუსთა კერპ ნიკოლაი კისელიოვით შეცვალეს, რამაც საბოლოოდ დაშალა ნახევარდაცვის შეთამაშებული ხაზის (სერებრიანიკოვი-ასათიანი-მუნტიანის) თარეში და შედეგად ნაკრები ურუგვაელებთან დამარცხდა.



1979 წელი. სსრკ თასის ფინალი. დამატებითი დროის დაწყებამდე თბილისელთა გუნდის უფროსი კახი ასათიანი ფეხბურთელებს აგულიანებს

რით ხიბლავდა გულშემატკივარს კახი ასათიანის თამაში? ეს იყო ელეგანტურობის განსახიერება. უზადო ტექნიკა, ბურთის ფლობის ძალდაუტანებელი მანერა და შესანიშნავი უზუსტესი გადაცემები შორეულ მანძილზე (ახალი თაობის გულშემატკივრებს, ალბათ, დავით ყიფიანის პასები უნდა გავახსენოთ) — პასი ასათიანისთვის მარტო პარტნიორის მისამართით გაგზავნილი ბურთი არ იყო, არამედ ისეთი გადაცემა, რომელსაც თანაგუნდელი ყველაზე სასურველ წერტილში იღებს და ყველაზე მოსახერხებელ მომენტში. გარდა ამისა, ერთ რამედ ღირდა კახის დრიბლინგი. განსაკუთრებით, როდესაც იგი ფეხებშუა უძვრენდა ბურთს მეტოქეს. ვისაც ფეხბურთი უთამაშია, იცის, რომ ბურთის ფეხებშუა გაძვრენას წინ მოსამზადებელი მოძრაობა უძევს საფუძვლად, რის გამოც მოწინააღმდეგე ფეხებს ერთმანეთს აშორებს. აი, ამ ილეთს კახი თვალშეუვლები სისწრაფით ან წამიერი პაუზით ახორციელებდა, რის გამოც მეტოქე მუდამ სასაცილო მდგომარეობაში რჩებოდა, ბურთი კი მის ფეხებშუა ნელა მიგორავდა. სხვათა შორის, მისი თამაშის სწორედ ეს გამორჩეული თვისება — ელეგანტურობა იყო საერთაშორისო აღიარების საფუძველიც. 1970 წელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ „ასოშეიტედ პრესის" კორესპონდენტმა მერი-ქრისტინა ანჟელომ მსოფლიოს ნაკრები შეადგინა ელეგანტურად მოთამაშე, სანდომიანი ფეხბურთელებისგან. თავად განსაჯეთ, რა კომპანიაში მოხვდა კახი ასათიანი: კალდერონი (მექსიკა), დობიაში (ჩეხოსლოვაკია), ბეკენბაუერი (გერმანია), მური (ინგლისი), რივერა (იტალია), ასათიანი (საბჭოთა კავშირი), ბოლი (ინგლისი), კუბილასი (პერუ), ლი (ინგლისი), ბიშოვეცი (საბჭოთა კავშირი), ჰერსტი (ინგლისი).

კახის მიერ შესანიშნავად ჩატარებული მატჩები ფეხბურთის ჭეშმარიტი ზეიმიც იყო და საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მისმა გამოსვლებმა, ვთქვათ, თურქეთის ან იუგოსლავიის ნაკრებთა წინააღმდეგ საერთაშორისო რეზონანსიც ჰპოვა.

კახი ასათიანი ერთ-ერთი უნიჭიერესი ფეხბურთელი იყო თბილისის „დინამოს" ისტორიაში, მაგრამ ამასთანავე ერთ-ერთი ყველაზე უიღბლოც. იგი გააწამა გაუთავებელმა ტრავმებმა, რის შედეგადაც თავის შესაძლებლობასთან შედარებით ძალიან მოკლე ხანს ითამაშა როგორც „დინამოს", ისე ნაკრების შემადგენლობაში, თუმცა დაუვიწყარი კვალი დატოვა.

ალბათ, ყველა გულშემატკივარს ახსოვს მისი „დინამოში" ჩატარებული ბრწყინვალე მატჩები. თუნდაც ვოროშილოვგრადის „ზარიასთან", სადაც იგი მარტო გაუმკლავდა იმ წელს მომავალი ჩემპიონის „ზარიას" ნახევარდაცვას კუქსოვის, კუზნეცოვისა და ვარენინის შემადგენლობით. კახის ბრწყინვალე თამაში მოსკოვის სპარტაკელებთან, სადაც მას პრინციპული დავა ჰქონდა კისელიოვ-პაპაევ-ბულგაკოვის [illegible] ორთაბრძოლებზე [illegible] გამახვილება. „სპარტაკის" გულშემატკივრებისთვის ასათიანი ტიპური ქართველი იყო, ისეთი, როგორსაც ისინი ცხოვრებაში აღიქვამენ, ელეგანტური, მოხდენილი და... ქედმაღალი, რომელიც ოდნავ ზევიდან უყურებს მეტოქეებს. რასაკვირველია, ლაპარაკია მისი თამაშის მანერაზე. ამ ფონზე „სპარტაკის" „მუშა" ნახევარდაცვაც ტიპურ „რუსულად" აღიქმებოდა თავისი „კედლით" და მუდმივი მოძრაობით. ჰოდა, ასათიანი, რომელიც მისი მეტოქეების მეოთხედს არ მოძრაობდა მოედანზე, მაინც ჯობნიდა თავის სპარტაკელ ოპონენტებს. ეს კი, სადღაც ქართული ცხოვრების წესის გამარჯვებად აღიქმებოდა. ასეთ საუბრებს არაერთხელ შევსწრებივარ „სპარტაკის" გულშემატკივართა შორის და ისინი ასეთ მნიშვნელობას რომ აძლევდნენ საფეხბურთო ორთაბრძოლებს, ეს მართალი გითხრათ, ძალიან მამხიარულებდა.

კახი ასათიანი იყო თბილისი „დინამოს" იმ ფეხბურთელთა შორის, რომლებიც პირველად გავიდნენ ოფიციალურ ევროპულ საერთაშორისო ტურნირებზე და, მართალია, გამოუცდელობის გამო ვერ მიაღწიეს შესამჩნევ წარმატებას, რამდენიმე შთამბეჭდავი მატჩი მაინც ჩაატარეს. გულშემატკივარს კარგად ახსოვს შეხვედრა ინგლისის „ტოტენჰემ ჰოთსპურთან". ინგლისელებამდე დინამოელებმა სოფიის „სლავია" და ბელგრადის ოფკ გამოთიშეს გათამაშებიდან. შესანიშნავად ჩატარებულმა მატჩებმა, განსაკუთრებით იუგოსლაველებთან, რომელიც „დინამომ" პირწმინდად მოიგო (3:0 თბილისში და 5:1 ბელგრადში), შექმნა ილუზია, რომ თბილისის „დინამომ" ევროპის უძლიერეს საკლუბო გუნდებში დაიმკვიდრა ადგილი. თბილისში „ტოტენჰემის" განადგურებას ელოდნენ, მაგრამ ინგლისელებმა დაგვიმტკიცეს, რომ ევროპის საფეხბურთო ოლიმპამდე ჯერ კიდევ შორეული და ძნელი გზა იყო გასავლელი. „დინამომ" საკუთარ მოედანზე მხოლოდ ფრეს მიაღწია, ისიც კახის ჩინებული გოლის წყალობით, ლონდონში კი 1:5 დამარცხდა და კარგა ხანს ჩამოსცილდა საერთაშორისო ასპარეზს. თუმცა სწორედ იმ შემადგენლობის ახალგაზრდა ფეხბურთელები — მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი გახდნენ იმ დიდი „დინამოს" დასაყრდენი, რომელმაც შემდეგ ამდენი სამახსოვრო გამარჯვება მოიპოვა ევროპის საკლუბო ტურნირებში.

კახი ასათიანი ასაკით მათთან ერთად უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ახალკაცის დიდი გუნდის შექმნის პირველ წლებში მაინც, მაგრამ გაუთავებელმა ტრავმებმა მას ამის შესაძლებლობა არ მისცა. იგი მუხლის ტრავმების გამო მთელი ძალით ვერ ურტყამდა. ფეხები სრულ დატვირთვას ვერ უძლებდნენ და როცა „დინამო" კვლავ, 1976 წელს, გამოჩნდა ევროპულ ასპარეზზე, ასათიანი მის შემადგენლობაში უკვე აღარ იყო, როგორც ფეხბურთელი. კახიმ ადრე, 30 წლამდე დაანება ფეხბურთს თავი.

რას იზამ, ცხოვრება ყოველთვის ისე ვერ ეწყობა, როგორც გვინდა და ჩვენც მოგვაკლდა სიამოვნება, კიდევ რამდენიმე წელს გვენახა კახის თამაში. თუმცა მისი მონაწილეობით ჩატარებული მატჩები ფეხბურთის გულშემატკივარს მუდამ ეხსომება, რადგან კახის მართლაც გამორჩეული თამაშის მანერა ჰქონდა და არ შეიძლება, იგი სხვაში აგერიოს.

ერთი სიტყვით, როგორი იყო კახი მოედანზე, შეგვიძლია ასე გამოვხატოთ, მოედანზე ვხედავდით თავადს. თავადურად ვე დადიოდა თავის სამფლობელოში და თავისი მამულის — „მოედნის" მთელ მონაკვეთს აკონტროლებდა. თავადი, რომელსაც აქვს თავისი სიამაყე და ღირსების გრძნობა, რასაც აკეთებს, ლაზათიანად გამოსდის. ეს შეხედულება, რომ სუბიექტური არ გეგონოთ, შეგახსენებთ 1970 წელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ წერილს, სადაც ჟურნალისტი დითირამბებს უძღვნიდა ახალდამთავრებულ მსოფლიოს პირველობას და მის ერთ-ერთ ღირსებად იმასაც მიიჩნევდა, რომ მსოფლიოს საფეხბურთო იერარქიაშიც დაუმკვიდრა ადგილი მოთამაშეებს: მეფე — პელეს, პრინც — რიველინოს, თავად — ასათიანს...

**ილია მხეიძე**

# ხაპოვიდან გონსალესამდე
## საქართველო ბათუმში გაშავდა

**16 ნოემბერს** ვაკეში „ლოკომოტივის" პირველმა თავდამსხმელმა დიეგო გონსალესმა „ვიტ ჯორჯიას" წინააღმდეგ 18 წუთი ითამაშა და რიგით 37-ე უცხოტომელი შეიქნა, ვისაც ეროვნული ჩემპიონატის უპირველეს ლიგაში ბურთი უგორებია.

საქართველოში ნაბურთავები ლეგიონერების სია გაცილებით გრძელია, თუმც ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა ერთობ საძნელო საქმე გახლავთ. გავიხსენოთ პირველი და მეორე ჩემპიონატები, მაშინ ლიგა არ დარჩენილა, ჩვენში უცხოელს არ ეთამაშა. ფეხბურთის ბუმი იყო საქართველოში, ლეგიონიც ძირითადად ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებიდან მოდიოდა და მიდიოდა. იმათგან ბევრი იყო უსახელო, ისეთები, რომელთა გვარებიც მერე არსად შეგვხვედრია. ზოგიერთმა კი ჩვენშიც გვარიანი სახელი დატოვა, მერეც დიდხანს იბურთავა და თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდშიც დამკვიდრდა.

ლეგიონერების სარბიელისეულ სიაში ვერ მოხვდნენ ეროვნულის დაბალ ლიგაში ნათამაშები უცხოელები. 1990-91 წლების თელავის „კახეთი" ვისაც ახსოვს, მას კახელთა ლიტველი მეკარე არვიდას კონციავიჩუსიც ეხსომება. მის გარდა კიდევ ორმა ლიტველმა — აიდას გრიგალიუნასმა და კესუტის კლიშაუტკასმა გააგორა მადლიან კახურ მიწაზე ბურთი. ისინი ყვარელის „დურუჯს" ეხმარებოდნენ.

უცხოელებიდან ისეთებიც გამორეულან, ვისაც საქართველოს უმაღლეს ლიგაში უთამაშიათ და დაბალი ლიგაც დაუჭაშნიკებიათ. ასეთები ლიტველი რიმას მაჟეიკისი და აზერბაიჯანელი ყურბან ყურბანოვი არიან. ბალტიისპირელმა ჯერ „გურიაში" ილვაწა, მერე მეორე ლიგის „ანცისთვის" ირჯებოდა. აზერბაიჯანელი კი „ალაზანიდან" იზურგეთის „მერცხალში" გადაბარგდა.

როცა ეროვნულის მეორე ლიგაზე და იქ მოხვედრილ უცხოელებზე ვსაუბრობთ, არც გაგრის „სიხარული 90"-ში ნამყოფი რომან საბიკოვი და საიდმამეტ მელევევი უნდა დავივიწყოთ. ორი ჩრდილოკავკასიელი გაგრაში 1991-92 წლებში თამაშობდა. ამათივე ყალიბრისა იყო „ჭაბუკიანის" ალექსანდრ მიხეევიც.

სადღეისოდ საქართველოს ჩემპიონატში ორი სამხრეთამერიკელი — „დინამოს" ბრაზილიელი კარლოსი და „ლოკომოტივის" პირუელი გალიარდო მარჯვედ იჩენენ ფეხს. კიდევ ერთი პერუელი ხუან გონსალესი სამარქაფოდ ჰყავთ რკინიგზელებს, მაგრამ ეროვნულში სამხრეთამერიკელი ჯერ კიდევ ექვსი წლის წინ გამოჩნდა. 1995-96 წლების სეზონში მექსიკელმა მარიო გონსალესმა მეორე ლიგის მცხეთის „არმაზში" სცადა ბედი და 8 მატჩი ითამაშა.



ანდრი პორომშინი



უჩე უვაკვე

შეიძლებოდა ლეგიონერებად მოგვენათლა ქართული წარმოშობის ოთხი ფეხბურთელი, ვინც რუსეთში ცხოვრობდა და ფეხბურთის სათამაშოდ ისტორიულ სამშობლოს დროებით დაუბრუნდა. სხვების რა მოგახსენოთ, მაგრამ სამტრედიელ ქომაგებს უნდა ახსოვდეთ ოლეგ სვინაიძე, ვიტალი ბრეგვაძე და ანზორ შურღაია. ურიგო მოთამაშე არც ერთი იყო, მაგრამ ქართული ფეხბურთისთვის დაკარგულად სამიდან ანზორ შურღაია მიგვაჩნია. ათლეტური აღნაგობის, ორივე ფეხით და თავით კარგად მოთამაშე ახალგაზრდა კაცი საქართველოში დარჩენაზე და ბურთის გორებაზე ყაბულს იყო. საქართველოში დაბადებული და მოსკოვში გაზრდილი შურღაია 1992 წლის ზაფხულის დამდეგს გაეცალა აქაურობას. მერე ერთხანს მოსკოვის „ასმარალში" იბურთავა და ფეხბურთს შეეშვა. მისგან სოლიდური სტოპერი დადგებოდა.

ქართული გვარის მეოთხე „უცხოელი", მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე გახლდათ. რუსეთის მოქალაქემ ჩვენებურ „დინამოში" ერთი სეზონის მანძილზე 20 მატჩი ითამაშა და მერე მალჩიკში დაბრუნდა.

ლეგიონერთა სიაში ვერ-მოხვდა „დინამოში" მყვირალა [illegible] აყვანილი ბრაზილიელი დე სოუზა. იმ ტლანქმა და ათლეტურმა სამხრეთამერიკელმა ათეზის ჩემპიონთა მაისურა ორ ევრომატჩშიღა მოირგო და თბილისიდან ისე აიბარგა, ეროვნულ ჩემპიონატში ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ პირველი ლეგიონერული ბუმის შემდეგ, 1992 წლის ზაფხულიდან, უცხოელებმა საქართველოდან „გაქცევა" დაიწყეს, ხოლო 1993-ში ბოლო სამი ლეგიონერიც აიბარგა. სამივე ეროვნებით სომეხი იყო, ბერბერიანი და ვერონიანი „გურიაში" ირიცხებოდნენ, ხოლო არაქელიანს „სამტრედიის" მაისურა ემოსა.

მას აქეთ ხუთწლიანი ვაკუუმი „ბათუმმა" გაარღვია, როცა ბევრისთვის მოულოდნელად ნიგერიელი უჩე უვაკვე აიყვანა. სწორედ უვაკვე იყო პირველი შავი კაცი ქართულ ფეხბურთში. მას შემდეგ ყინული ნელ-ნელა დაიძრა, ერთი მეორეს მიყოლებით გამოჩნდნენ ბელგიელი დენიტ დონდტი, ანდრეი მუხინი, მიკოლა პოდლესნი, ანდრი პორომშინი, კარლოსი და წერილის თავშივე ნახსენები გონსალესიც.

ლეგიონერებიდან ყველაზე ტიტულიანი და ხელბარაქიანი ტორპედოელი პორომშინი გახლავთ. საქართველოს ჩემპიონს სადღეისოდ 40 მატჩი ჩაუტარებია და 19 გოლი გაუტანია. მანამდე ყველაზე მეტი, 36 მატჩი ოჩამჩირის „ამირანის" ბელარუს ლეგიონერს სერგეი შიროკის ეთამაშა, ხოლო ბომბარდირობას სამტრედიული „სანავარდოს" სოჭელი ფორვარდი იური სობოლი 17 გოლით არავის ანებებდა.

სადაც წესი და რიგია, ლეგიონერებად უნდა ვიხსენიებდეთ ანდრიას ნინიაძის, იგივე ანდრო კიურჯიევს, ომარ თეთრაძეს, ბუბა ტყავაძეს, კახა გოგოლაძეს, ბადრი კვარაცხელიას, თუმც ბევრისთვის ცნობილია, რომ ხუთივე საქართველოში გაზრდილ-დავაჟკაცებული ფეხბურთელია, აქაურ კლუბებში უბურთავიათ და მოგვიანებითღა ითამაშეს საბერძნეთის, რუსეთის, თურქმენეთის და აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდებში.

**მამუკა ქვანტალიანი**

| ფეხბურთელი | დაბ. თარიღი | ქვეყანა | გუნდი | წელი | თამაში | გოლი | დებიუტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაურ ხაპოვი | 21.10.64 | რუსეთი | დინამო თბილისი | 1990 | 29 | – | 30.03.90 |
| იგორ შეპტიცკი | 1965 | ? | სანავარდო სამტრედია | 1990 | 15 | – | 31.03.90 |
| რომას მაჟეიკისი | 28.04.64 | ლიტვა | გურია ლანჩხუთი | 1990 | 23 | – | 01.06.90 |
| რობერტას ფრიდრიკასი | 07.04.67 | ლიტვა | გურია ლანჩხუთი | 1990 | 20 | 11 | 01.06.90 |
| სერგეი შიროკი | 1967 | ბელარუსი | ამირანი ოჩამჩირე | 1990-92 | 36 | 4 | 01.10.90 |
| ვირგინიუს ბალტუშნიკასი | 22.10.68 | ლიტვა | მხიური გალი | 1990 | 19 | 6 | 25.06.90 |
| როლანდას ვაინეიკისი | 25.10.68 | ლიტვა | ოდიში ზუგდიდი | 1990 | 14 | – | 25.06.90 |
| რიჩარდას ზდანჩიუსი | 1967 | ლიტვა | ოდიში ზუგდიდი | 1990 | 18 | 1 | 25.06.90 |
| ვაიდას პეტრაუსკასი | 1969 | ლიტვა | მხიური გალი | 1990 | 14 | – | 29.06.90 |
| არუნას ბრიაუნისი | 03.11.64 | ლიტვა | ივერია ხაშური | 1990-91 | 20 | – | 10.09.90 |
| ვალერის კისელოვასი | 14.03.67 | ლიტვა | ივერია ხაშური | 1991 | 19 | 6 | 16.03.91 |
| ვიქტორ პიმუშინი | 1955 | რუსეთი | კოლხეთი ხობი | 1991-92 | 23 | 7 | 16.03.91 |
| ბ. სპირინი | ? | რუსეთი | კოლხეთი ხობი | 1991 | 2 | – | 20.03.91 |
| სერგეი გომონოვი | 29.06.61 | ბელარუსი | ამირანი ოჩამჩირე | 1991 | 13 | 5 | 21.03.91 |
| ყურბან ყურბანოვი | 13.04.72 | აზერბაიჯანი | ალაზანი გურჯაანი | 1991-92 | 17 | 4 | 21.03.91 |
| სერგეი პავლიჩუკი | 14.10.66 | ბელარუსი | მხიური გალი | 1991 | 9 | 1 | 14.04.91 |
| ნ. ჰასანოვი | ? | აზერბაიჯანი | ალაზანი გურჯაანი | 1991-92 | 13 | 5 | 16.04.91 |
| ვიქტორ ჩაიკა | 1970 | ბელარუსი | მხიური გალი | 1991-92 | 24 | – | 24.04.91 |
| იური სობოლი | 19.03.66 | უკრაინა | სანავარდო სამტრედია | 1991-92 | 33 | 17 | 14.06.91 |
| ვ. კირსენკო | ? | უკრაინა | ოდიში ზუგდიდი | 1991-92 | 19 | – | 15.08.91 |
| ა. ფედოტოვი | ? | რუსეთი | კოლხეთი ხობი | 1991-92 | 30 | 1 | 17.08.91 |
| ი. სუროვი | ? | რუსეთი | სულორი ვანი | 1991-92 | 6 | 1 | 30.08.91 |
| ალექსანდრ რეუდსკი | ? | ბელარუსი | სულორი ვანი | 1991-92 | 14 | – | 11.09.91 |
| ე. ივანოვი | ? | რუსეთი | სანავარდო სამტრედია | 1991-92 | 6 | – | 07.11.91 |
| იური დენისიუკი | 1964 | უკრაინა | ოდიში ზუგდიდი | 1991-92 | 14 | 1 | 29.03.92 |
| ვადიმ პეტროვი | 1966 | რუსეთი | სანავარდო სამტრედია | 1991-92 | 8 | – | 20.05.92 |
| ჰენრიხ ბერბერიანი | 07.06.68 | სომხეთი | გურია ლანჩხუთი | 1992-93 | 26 | 1 | 15.10.92 |
| ედუარდ ვერონიანი | 16.08.63 | სომხეთი | გურია ლანჩხუთი | 1992-93 | 19 | 9 | 15.10.92 |
| გრიგორი არაქელიანი | 28.04.64 | სომხეთი | სამტრედია | 1992-93 | 22 | 7 | 30.10.92 |
| უჩე უვაკვე | 03.07.79 | ნიგერია | ბათუმი | 1998-00 | 4 | – | 24.04.99 |
| დენი დონდტი | 21.09.63 | ბელგია | დინამო თბილისი | 1999-00 | 9 | – | 15.08.99 |
| ანდრი მუხინი | 31.01.75 | უკრაინა | მერანი თბილისი | 2000-02 | 30 | 2 | 06.09.00 |
| მიკოლა პოდლესნი | 04.02.73 | უკრაინა | მერანი თბილისი | 2000-01 | 6 | – | 01.10.00 |
| ანდრი პორომშინი | 30.09.78 | უკრაინა | ტორპედო ქუთაისი | 2001 | 40 | 19 | 18.08.01 |
| კარლოს და როჩა | 02.05.73 | ბრაზილია | დინამო თბილისი | 2002 | 25 | 2 | 01.03.02 |
| რაფაელ გალიარდო | 21.02.76 | პერუ | ლოკომოტივი თბილისი | 2002 | 4 | – | 06.11.02 |
| დიეგო გონსალესი | 16.02.85 | პერუ | ლოკომოტივი თბილისი | 2002 | 2 | – | 16.11.02 |

# მილანი VS ინტერი

# ეპიზოდი მეორე: ინტერი

*მაშ, ასე, „ინტერი". როგორ ემზადებიან ექტორ რაულ კუპერის შეგირდები ხვალინდელი დერბისთვის? ემზადება ყველა. „აპინო ჯენტილეში", „ინტერნაციონალეს" საწვრთნელ ბაზაზე, სრული სიჩუმეა. ისმის მხოლოდ ბურთის ბაგაბუგი და კუპერის განუწყვეტელი შენიშვნა-შეძახილები.*

*ფეხბურთელებიც ყოველგვარი ნუნუნ-ყაყანის გარეშე, ხალისიანად ვარჯიშობენ. რიგით 252-ე მილანური დერბისთვის „ნეროაძურის" სამზადისს მისი პრეზიდენტი, ნავთობმაგნატი მასიმო მორატიც ადევნებს თვალს*



ექტორ კუპერი

## კუპერის სიხარული

რა უხარია არგენტინელ ექტორ რაულ კუპერს? ალბათ, ბევრი რამ. ცხადია, „მილანთან" მოგებითაც ძალიან გაიხარებს, მაგრამ მანამდე ვარჯიშზე გამოიყურება მხნედ და მხიარულად: კუპერს ტრავმირებული ფეხბურთელები გამოუჯანმრთელდნენ, თანამემამულე ანდრეს გულიელმინპიეტრო, სიერალეონელი მოჰამედ კალონი, თავდამსხმელი ნიკოლა ვენტოლა, ნახევარმცველი კრისტიანო ძანეტი და მცველი მარკო მატერაცი.

ეს ხუთეულიც თავს არ ზოგავს, ჯერ ტრენაჟორებზე მოიკლეს თავს, ახლა კი მწვრთნელის დავალებებსაც, ცხადია, უსიტყვოდ ასრულებენ.

## გამარას ოცნება

უილბლო ვარო, პარაგვაელმა მცველმა კარლოს გამარამ უნდა თქვას. რა იცოდა საბრალომ, სად ყოფდა თავს. სეზონის დაწყების წინ ბრაზილიური „პალმეირასის" მცველმა ბერძნულ „პანათინაიკოსს" უარი შეუთვალა, „ინტერში" მივდივარო.

მივიდა „ინტერში" და კუპერმაც სათადარიგოთა სკამზე გაამწესა, კარგი მცველი ხარ, თუმც დაცვის ხაზში დიდი კონკურენციაა და უნდა დაძლიო.

გამარამ ვერ გაუძლო ხავიერ ძანეტის, ფაბიო კანავაროს, ივან კორდობას, მარკო მატერაცის, ფრანჩესკო კოკოს კონკურენციას და ამიტომაც ზის სკამზე. გამარამ „შავ-ლურჯი" მაისურით სულ ერთხელ ითამაშა და ისიც შეცვლაზე. მწვრთნელი მას სულ რაღაც 20 წუთი ენდო.

მაგრამ გამარა ყურების და ფეხების ჩამოყრას არ აპირებს, გულმოდგინედ ვარჯიშობს და თავის ჯერს ელის: „ინტერში" სკამის ხეხვისთვის არ გადმოვსულვარ. რა ვქნა, ვვარჯიშობ და მგონია, რომ კარგ ფორმაშიც ვარ, თუმც სათამაშო პრაქტიკა რომ მჭირდება, ფაქტია. ყველაფერს ვაკეთებ, რათა მწვრთნელს თავი მოვაწონო. იმედი მაქვს, მალე მენდობა."

## ემრეს სიზმარი

გაუტანა პესკარაში თურქმა ემრე ბელოზოღლუმ გოლი იტალიას და ნამატჩევს თანამემამულე ოკანთან და ინტერელ თანაგუნდელებთან (ტოლდო, კანავარო, დი ბიაჯო, ვიერი) ერთად „აპინო ჯენტილეში" დაბრუნდა.

მეორე დილით რომ გაიღვიძა, გაახსენდა, რომ თურმე კარგი სიზმარი უნახავს. პირველად ლუიჯი დი ბიაჯოს მიეჭრა და ახარა — ჯიჯი, მგონია, რომ „მილანს" მოვუგებთ, თანაც ანგარიშიც ვიციო — 2:0.

დი ბიაჯოს მეტი რა უნდოდა, წამოყარა საწოლიდან ბიჭები, ემრეს მაგარი სიზმარი უნახავს და ხშირადაც ახდენია, მოკლედ, „მილანს" უნდა მოვუგოთო. ეს კუპერმა და მორატიმაც შეიტყვეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ.

სიზმარი იცოცხლეთ, კარგია, მთავარია, ცხადში როგორ იქნება.

## რეკობა მოგვინოდებთ

ურუგვაელი ალვარო რეკობა ბოლო დროს ძირითადში ვერ ხვდება, კუპერი მას შეცვლაზე ათამაშებს, მაგრამ იცის, რომ სადარდებელი არაფერია, უმთავრესი გუნდია. რეკობა „მილანთან" ჯახს მოუთმენლად ელის და მედიელებთან ენაწყლიანობს: „მაგარი, სანახაობრივი თამაში იქნება. ჩვენც და ისინიც შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ. „ინტერს" თავისი კოზირი და მოტივაცია აქვს, „მილანს" — თავისი. ვისი აჯობებს, ვნახოთ. იმედი მაქვს, რომ მოვუგებთ და საჩემპიონო ამბიციებსაც გავიმყარებთ."

## ბედოს ბობო უყვარს

იკითხავთ ალბათ, ვინ არის ბედო და ვინ კიდევ ბობოო. ბევრმა ალბათ არც იცის, ბობო — კრისტიან ვიერის მეტსახელია. ზორბა ტანის და საშინელი ფიზიკური ძალის პატრონი ვიერი კი ხომ იცით, ვინც არის...

და ვინ არის ბედო? უცხო ნამდვილად არაა, მანდილოსანი გახლავთ, „ინტერის" თავგადაკლული ტიფოზია და... მასიმო მორატის ღვიძლი და.

ჰოდა, უყვარს ბედო მორატის ვიერი და პირადად მას ქომაგობს.

სინიორა მორატის ამავდროულად თურმე ძალიან სძულს ანდრეა პირლო, ყოფილი ინტერელი, ახლა „მილანის" შავ-წითელი მაისურა რომ აცვია და შაბათ საღამოსაც „ინტერის" წინააღმდეგ იბურთავებს. გამყიდველია, როგორ გაბედა მოსისხლე გუნდში თამაშიო, განრისხებულია ქალბატონი.

## აქეთ-იქით

სიტყვამ მოიტანა და ისეც ვთქვათ, რას ამბობს ბედო მორატი კლარენს ზეედორფსა და დარიო შიმიჩზე, ესენი ხომ შარშან სწორედ „ინტერის" ღირსებას იცავდნენ. ხორვატ შიმიჩზე მასიმო მორატის დას პირში წყალი ჩაუგუბებია, ზეედორფზე კი ლაკონურად თქვა: „კლარენსი ჯიგარია, იგი „მილანში" თავისი სურვილით არ მისულა, აიძულეს."

ვინ რა აიძულა ჰოლანდიელ ზეედორფს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ორად გაყოფილი „სან სიროს" ფეხბურთელებს სტვენას რომ აუტეხს, ფაქტია. „ინტერის" ქომაგები სწორედ ზეედორფს, პირლოს და შიმიჩს შეამკობენ „ტკბილი" სიტყვებით და გამაყრუებელი სტვენით. „მილანის" ტიფოზების სამიზნეები კი ფრანჩესკო კოკო, ანდრეს გულიელმინპიეტრო და დომენიკო მორფეო იქნებიან.

## ვინ არის მეგოლე

„სან სიროზე" ფიცხი ბრძოლა იქნება, ფეხბურთელები გოჯსაც არ დაუთმობენ ერთმანეთს. ცხადია, იქნება მეგოლეთა დუელიც.

კრისტიან ვიერი აუცილებლად შეეცდება გოლის გატანას, რათა თავისი მონაგარი „მილანთან" მატჩებში ოთხამდე ან მეტად გაზარდოს.

აი, „შავ-წითლების" ბომბარდირი კი ანდრეი შევჩენკოა. უკრაინელს ვიერისთან საგრძნობი უპირატესობა აქვს, „შევას" „ინტერის" კარი 9-ჯერ დაულაშქრავს და თუ ანჩელოტიმ შაბათს ათამაშა, უეჭველად შედეგის გაუმჯობესებაზეც იფიქრებს.

**გიორგი მუმლაძე**

# ჩირიო ჩირად დაფასდა

**კრიზისში** მყოფი „ლაციო" სერია A-ში და უეფას თასზე ჯერაც ყოჩაღად გამოიყურება. აი, კლუბის საკონტროლო პაკეტის მფლობელ სერჯო კრანიოტის კი სულ უფრო და უფრო შავად მისდის საქმე.

კლუბის აქციების 51 პროცენტის მფლობელ სურსათის მწარმოებელი კომპანია „ჩირიოს" ფინანსურ კრიზისზე ადრეც ვწერდით, დროთა განმავლობაში კი ეს კრიზისი სულ უფრო და უფრო ღრმავდება და შეიძლება რომაულმა ჯერ კიდევ სუპერკლუბმა „ფიორენტინას" ბედი გაიზიაროს. როგორც კრანიოტის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზმა აჩვენა, დანაკარგები მეტისმეტად დიდია და „ლაციოს" ალბათ ახალი ფინანსური პარტნიორის მოძებნა მართებს.

მართალია, აგვისტოში „ლაციომ" ფეხბურთელების გაყიდვით 65 მილიონი ევრო მიიღო, მაგრამ ივლის-სექტემბრის მონაცემებით კლუბის საერთო ზარალი 45 მილიონ ევროს აღწევს. ნოემბრის მონაცემებით კლუბის ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, რამაც კრანიოტი აიძულა, თავისი წილი 51 პროცენტი ბაზარზე გაეტანა.

თუმცა „ლაციოს" აქციების ფასმა ახლახან ოდნავ მოიმატა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „იუვენტუსის" მეწილე ლიბიელი დიქტატორის მუამარ კადაფის ვაჟი, ალ-საადი, რომაული კლუბის აქციებითაც დაინტერესდა.

რაც შეეხება „ჩირიოს", კომპანია განადგურების გზაზეა და იქნებ „ლაციოს" ხსნა მართლაც ახალი პატრონის ძიებაში იყოს. ჯერჯერობით კი სიტუაცია ისევ გაუგებარია. „ლაციოს" პრობლემებს „მანჩესტერისთვის" გადასახდელი რამდენიმე მილიონიც ემატება. კლუბმა 14 თვის წინ იაპ სტამი რომ შეიძინა, თანხა ბოლომდე ჯერაც არ დაუფარავს.

**სერგი ქორიძე**



სერჯო კრანიოტი

## ფეხბურთის რუკასთან



**ისრაელის** ფეხბურთის ფედერაციამ თხოვნით მიმართა უეფას, რომ ჰაიფას „მაკაბის" საკუთარ მოედანზე თამაშის უფლება მისცეს. „ვერ წარმოიდგენთ, რა სიძნელეებს ვაწყდებით ნიქოზიაში თამაშისას — განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა გავრი ლევიმ — მატჩები საკუთარ კედლებში რომ გაგვემართა, უფრო დიდ წარმატებას მივაღწევდით."

**შვედეთის** წლის საუკეთესო ფეხბურთელად ინგლისური „არსენალის" ნახევარმცველი ფრედი ლიუნგბერგი დაასახელეს. ეს სეზონი ფეხბურთელისთვის მართლაც რომ წარმატებული გამოდგა. იგი მეთოფეთა გუნდის წამყვანი მოთამაშეა, ხოლო მუნდიალზე ნაკრების შემადგენლობაში საუკეთესო იყო და მერვედფინალშიც ითამაშა. „შვედეთის ოქროს ბურთი" ჩემთვის დიდი პატივია" — განაცხადა ლიუნგბერგმა.

**ჩეხი** სპეციალისტი ვლასტიმირ პეტრჟელა რუსული „ზენიტის" მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. კონტრაქტის პირობები ჯერჯერობით უცნობია, თუმც ამბობენ, რომ ჩეხი პეტრე დიდის ქალაქში სამ წელიწადს დარჩება.

**რუმინეთის** საფეხბურთო ლიგამ ეროვნულ პირველობაზე შაბათს გასამართი მატჩი „დინამო" — „ბრაშოვო" კვირისთვის გადაიტანა. ეს ყველაფერი კი აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ვიზიტის გამო მოხდა. პრეზიდენტი რუმინეთში სულ ოთხ საათს დაჰყოფს, თუმც ყოველი შემთხვევისთვის, ხიფათის თავიდან ასაცილებლად სამართალდამცავებმა ფეხბურთის ფედერაციას მატჩი მეორე დღისთვის გადაატანინეს.

**რუსული** მოსკოვის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, 40 წლის იგორ ცარევი საკუთარ სახლში მოკლული იპოვეს. ინფორმაცია პოლიციელებს იგორის დედამ მიაწოდა.

**შვეიცარიული** „ბაზელის" ჩემპიონთა ლიგაში წარმატების შემდეგ მთელი ქალაქი ფეხბურთით ცხოვრობს. კლუბის ოფისს უკვე 7,5 ათასმა ქომაგმა მიმართა, რათა „ბაზელის" მომავალი სეზონის თამაშებზე დასასწრები აბონემენტი აიღოს. აღსანიშნავია, რომ შარშან ბილეთების სეზონური პაკეტი 22 ათასმა ადამიანმა შეიძინა, ანუ იმდენმა, რამდენსაც „ბაზელის" სტადიონი იტევს.

**იტალიური** „ფიორენტინას" ყოფილი პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი შინაპატიმრობიდან გაათავისუფლეს. შეგახსენებთ, რომ ცნობილი ბიზნესმენი სამართალდამცავთა ყურადღების ცენტრში მას შემდეგ მოექცა, რაც მისი „ფიორენტინა" გაკოტრდა. ჩეკი გორი კლუბის სალაროდან თანხის მითვისებაშია ეჭვმიტანილი. ბიზნესმენს ჯერჯერობით ქვეყნიდან გასვლა ეკრძალება და ვალდებულია, დროდადრო დაკითხვებზეც გამოცხადდეს.

**რუსული** „ალანიას" მთავარმა მწვრთნელმა ბახვა თედეევმა კლუბი დატოვა. მის კვალს პრეზიდენტი სერგეი ტაკოევი და გუნდის უფროსი ჰასან ჯიოევიც მიჰყვნენ. თედეევი „ალანიაში" შუა სეზონში მივიდა და კონსულტანტ ბორის იგნატიევთან ერთად გუნდი პრემიერლიგაში დატოვა. კლუბის ახალმა პრეზიდენტმა მიხაილ შატალოვმა მთავარი მწვრთნელის ადგილი იგნატიევს შესთავაზა.

**ჰოლანდიელმა** მცველმა იაპ სტამმა უარყო ინფორმაცია, რომ თითქოს ფინანსურად გაჭირვებულ „ლაციოს" ტოვებს და სათამაშოდ ინგლისს მიემგზავრება. „ლივერპულიდან მქონდა რაღაც წინადადებები, მაგრამ იტალიას არ დავტოვებ — განაცხადა სტამმა — მანჩინისთან ერთად მუშაობა ჩემთვის დიდი პატივია."

**გერმანული** „ბაიერნის" ბოსნიელი ნახევარმცველი ჰასან სალიჰამიჯიჩი „ვოლფსბურგთან" მატჩში დაშავდა და ხუთი თვე ვერ ითამაშებს. ფეხბურთელი სამკურნალოდ აშშ-ში, კერძოდ, კოლორადოში გაემგზავრება. „რენტგენის სურათის ნახვის შემდეგ შოკში ვარ, მაგრამ იმედს არ ვკარგავ" — განაცხადა სალიჰამიჯიჩმა, რომელმაც მსგავსი ტრავმა 15 თვის უკანაც მიიღო.

**ინგლისური** „ლიდსი" ფინანსურ კრიზისშია. კლუბს 77 მილიონი გირვანქა ვალი დაუგროვდა. იორკშირელები შესაძლოა, იძულებულნი გახდნენ, წამყვან მოთამაშეებს შეელიონ. გუნდის ჰავბეკ ლი ბოიერს „მანჩესტერ სიტი" ეპატიჟება. ფეხბურთელს „ლიდსთან" კონტრაქტი 2003 წლის ზაფხულში უსრულდება და კლუბი მის გაყიდვას ჩქარობს, ბოიერი თავისუფალ აგენტად რომ არ ექცეს. DALY MAIL-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რობი ფაულერმა, მარკ ვიდუკამ, ოლივიე დ...ურმა, ნაიჯელ მარტინმა, იან ჰარტმა და კიდევ სხვებმა შეიძლება, „ლიდსი" ამ ზამთარსვე დატოვონ.

## ბელგია

XII ტური

**სენტ ტრუიდენი 2:2 მუსკრონი**

0:1 დე ფლეშოუვერი (26), 1:1 მბონაბუკა (65), 2:1 ბეინი (82), 2:2 კლაესი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 11 | 10 | 1 | 0 | 30:8 | 31 |
| ლოკერენი | 12 | 8 | 3 | 1 | 28:16 | 27 |
| ლიერსი | 12 | 8 | 3 | 1 | 21:9 | 27 |
| სტ. ტრუიდენი | 12 | 6 | 4 | 2 | 33:19 | 22 |
| გენკი | 12 | 6 | 4 | 2 | 27:18 | 22 |
| ანდერლეხტი | 11 | 6 | 2 | 3 | 25:16 | 20 |
| მუსკრონი | 12 | 5 | 4 | 3 | 28:24 | 19 |
| ანტვერპენი | 12 | 5 | 3 | 4 | 21:20 | 18 |
| მონსი | 12 | 4 | 2 | 6 | 16:17 | 14 |
| ბეერსხოტი | 12 | 4 | 2 | 6 | 21:26 | 14 |
| ლუვიე | 11 | 3 | 4 | 4 | 12:11 | 13 |
| სტანდარდი | 12 | 3 | 3 | 6 | 15:21 | 12 |
| გენტი | 11 | 3 | 2 | 6 | 18:22 | 11 |
| ლომელი | 12 | 3 | 2 | 7 | 12:21 | 11 |
| ბევერენი | 12 | 3 | 1 | 8 | 11:24 | 10 |
| ვესტერლო | 12 | 3 | 1 | 8 | 9:24 | 10 |
| მეხელენი | 12 | 2 | 3 | 7 | 13:26 | 9 |
| შარლერუა | 12 | 0 | 4 | 8 | 13:31 | 4 |

სპეციალიზირებული სალონ-მაღაზია
ბილიარდის მაგიდები რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
1000 მეტი დასახელება
კიები, ბურთები, ნაჭურები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისაგან.
ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია




☎ 95-57-75, 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2

იყიდება სასწრაფოდ!
შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი", ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით. ფასი შეთანხმებით
ტელ: 22-23-15



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

## გერმანიამ დადებითად წააგო



REUTERS

მიხაელ ბალაკმა დაიხედა და ბურთი და კლარენს ზეედორფის ფეხი დაინახა

**გერმანია 1:3 ჰოლანდია**

0:1 კლუივერტი (22), 1:1 ბობიჩი (34), 1:2 ჰასელბაინკი (69), 1:3 ვან ნისტელროი (79)

**გერმანია:** კანი, რემერი, ბაუმანი, ფრიდრიხი, ფრინგსი, იერემისი (კელი 46), ბალაკი, ბიომე (ნოივილი 78), შნაიდერი, ბობიჩი (ასამოა 68), კლოზე (ფრაიერი 46)

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, რიკსენი, სტამი, ფ. დე ბური (ვან დერ ვაარტი 46), ზენდენი, ზეედორფი, ბოსველტი, კოკუ (რაიციგერი 46), დავიდსი, კლუივერტი (ვან ნისტელროი 46), მაკაი (ჰასელბაინკი 65)

მსაჯი: პიუ დალასი (შოტლანდია)

60 600 მაყურებელი

**ერთია** სწრაფი კონტრშეტევა, ხოლო მათი ზუსტი დაბოლოვება — მეორე. ხოლო თუ ერთიცა და მეორეც ერთად გამოდის, მაშინ იმ შედეგს ვიღებთ, ჰოლანდიის ნაკრებმა გელზენკირხენში, გერმანიის ეროვნულ გუნდთან შეხვედრაში რომ მიიღო.

ჩვეულებრივ, როდესაც ორი მეტოქიდან ერთი ყურადღებას კონტრშეტევებზე ამახვილებს, მეორე ბურთს ფლობს. ასე იყო გელზენკირხენშიც: მასპინძლები თამაშს აკონტროლებდნენ, მაგრამ მომენტების უმეტესობა მათ კართან შეიქმნა. ეს გამარჯვება, მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩენილი ჰოლანდიელებისთვის, თავმოყვარეობის აღდგენას ნიშნავდა. ამასთანავე ნუ დაგვავიწყდება, რომ გერმანია და ჰოლანდია მეზობელი ქვეყნებია და მათი საფეხბურთო დაპირისპირება ნიშნის მოგებისა და კინკლაობის ისტორიასაც მოიცავს.

„საკმაოდ კარგად ვითამაშეთ — წაგების მიუხედავად ასე განაცხადა გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა — განსხვავება მომენტების დაგვირგვინებაში იყო. ჩვენ საბოლოო დარტყმები არ გვივარგოდა, ხოლო მოწინააღმდეგემ გოლები გაიტანა.“

ტექნიკით მბრწყინავი ჰოლანდიელები 22-ე წუთზე პატრიკ კლუივერტმა დააწინაურა. შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — ფრედი ბობიჩმა, რომელიც თითქმის ხუთი წელიწადია, ნაკრებში აღარ მიუწვევიათ, 34-ე წუთზე თავურით მიაღწია მიზანს.

მესამე გოლი 69-ე წუთზე გავიდა. ჩელსელმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა საჯარიმო მოედნის კიდიდან დაბლა და ზუსტად დაარტყა ბურთი, ხოლო ამ ამბიდან 10 წუთის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა რუუდ ვან ნისტელროიმ კლარენს ზეედორფის ჩაწოდებული ბურთი შეაგდო გერმანელთა კარში.

ქვემოთ, სწორედ ვან ნისტელროის კომენტარს შემოგთავაზებთ:

„პირველ ტაიმში ვერ ვივარგეთ. გერმანელები მოედნის შუაში ძალიან ძლიერად თამაშობდნენ, ხოლო ბობიჩი ჩვენს საჯარიმოსთან ბრწყინავდა. ერთი სიტყვით, შესვენებამდე პრობლემები არ გვაკლდა, მაგრამ შესვენების მერე ჩვენი თამაშის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა და მოვლენებიც დიდებულად განვითარდა. ამ შეხვედრაში ფანტასტიკურ შედეგს მივაღწიეთ.“

ვან ნისტელროის შეფასება ზუსტია. თავიდან მასპინძლების შეკრული და თავმოყრილი გუნდი, როგორც გითხარით, მძლავრად მოქმედებდა, ბურთს აკონტროლებდა და მიროსლავ კლოზესა და ზემოხსენებული ბობიჩის წყალობით ანგარიშის გახსნაც შეეძლო, თუმცა კლუივერტის გოლმა მათი შემართება შეანელა.

„როგორც გითხარით, თამაშით უკმაყოფილო არ ვარ, ჩვენს მოქმედებაში ბევრი დადებითი შევნიშნე და აქედან გამომდინარე ბევრსაც უნდა ველოდოთ“ — დაასკვნა ფიოლერმა.

**ბაჩუნა ძიძია**



REUTERS

ავსტრიელებმა ანდრე ბერგდოლმო მოიმწყვდიეს

## გამბია და ღრუბელი

**ავსტრია 0:1 ნორვეგია**

0:1 კაბი (82)

**ავსტრია:** მენდლი (მახო 46), ემანი, ჰოგატიცი, ჰიდენი, შოპელი (კარამანი 3; აკაგუნდუზი 76), აუფჰაუზერი, შოპი (მარნერი 5), ფლოგელი, ჰერცოგი (ვაისენბერგერი 62), ვალნერი (დოლინგერი 84), ორმანი

**ნორვეგია:** ჰოლტანი, ბერგდოლმო, ჰანგელანდი, ლუნდეკვამი, ბასმა, ივერსენი (მათსენი 76), ანდერსენი, ლეონარდსენი (კაბი 68), ვინსნესი (ფლო 46), სოლსკიაერი (რუშფელდტი 76), რიისე

მსაჯი: ატილა აბრაჰამი (უნგრეთი)

17 000 მაყურებელი

**ანდრეას ჰერცოგი** ავსტრიული ფეხბურთის ისტორიაში პირველი მოთამაშეა, ვისაც ნაკრებში 100 თამაში დაუგროვდა და მოედანზეც ასნომრიანი მაისურით გავიდა, თუმცა მას საიუბილეო სიხარული 82-ე წუთზე გამბიური წარმოშობის პა-მოდუ კაბმა ჩაამწარა, როცა სანდერლენდელი ტორე ანდრე ფლოს ძელს დაძგერებულ ბურთს დაამატა და პირველი სანაკრებო გოლიც შეაგდო. გამბიელმა 68-ე წუთზე ლეონარდსენი შეცვალა.

რაც შეეხება მთლიანად შეხვედრას, არცთუ თვალსასეირო გამოდგა, მომენტები არც ისე ხშირად იქმნებოდა და 17 ათასმა მაყურებელმა საკმაოდ მოსაწყენ ბურთაობას უცქირა. მასპინძლებს ერთადერთი რეალური შანსი 65-ე წუთზე შეექმნათ, როცა ვაისენბერგერმა ბურთი ვალნერს გადააწოდა და ამ უკანასკნელმა ახლო მანძილიდან ღრუბლებს დაუმიზნა.

ნამატჩევს ავსტრიელთა თავკაცმა ჰანს კრანკლმა დამწუხრებულმა განაცხადა, საწყენი მარცხი განვიცადეთ, დღეს ჩვენ ურისკოდ ვთამაშობდით და 0:0-ითაც კმაყოფილი ვიქნებოდით.

**ზურაბ რუხაძე შვილი**

## მოგების ტრფიალი

**ჩეხეთი 3:3 შვედეთი**

1:0 ფუკალი (8), 1:1, 1:2 ნილსონი (29, 43), 2:2 ვახოუშეკი (45), 3:2 ბაროში (63), 3:3 ოლბოკი (65)

**ჩეხეთი:** ჩეხი (მერნი 46), გრიგერა (ჰუბშმანი 74), ბოლფი, გალაშეკი (გედეონი 46), ფუკალი, იუფრალუში (იოჰანა 16), შმიცერი (იაროშიკი 46), პობორსკი (კოლომაზნიკი 62), ვახოუშეკი, ბაროში (დოშეკი 81), ნედვედი (დოშტალეკი 68)

**შვედეთი:** ისაკსონი, ლუციჩი, იაკობსონი, მიხაელ სვენსონი, ედმანი (ნ. იოჰანსონი 70), კალსტრომი, ნილსონი (ა. იოჰანსონი 66), ა. სვენსონი, ბაკირჩიოღლუ, ოლბოკი, ელმანდერი (სკოოგი 66)

30 000 მაყურებელი

**ჩეხებმა** იანვარში დანიშნული მწვრთნელის კარელ ბრუკნერის თავკაცობით მე-9 წაუგებელი შეხვედრა ჩაატარეს. მის ხელში ჩეხებმა 7-ჯერ მოიგეს და 2-ჯერ ფრეს მიაღწიეს.

ტეპლიცეში გამართული მატჩი წლეულს ჩეხებისთვის ბოლო იყო და მწვრთნელის სადებიუტო, პირველი წელი უთუოდ წარმატებულად უნდა ჩაითვალოს.

ნაკრებში ექვსთვიანი უთამაშებლობის შემდეგ მილან ფუკალმა დაბრუნება მე-8 წუთზევე გოლით აღნიშნა. მართალია, მოგვიანებით შვედთა ჰალმსტადელმა დებიუტანტმა მიკაელ ნილსონმა დუბლით გაიხარა, მაგრამ სტეპან ვახოუშეკმა ორ წუთში პობორსკის ფლანგურ, საჯარიმო ჩაწოდებას თავი შეაგება და შესვენებაზე გუნდები მშვიდობიანად გავიდნენ.

მეორე ტაიმშიც მაყურებელმა გოლები ორწუთიან მონაკვეთში იხილა, 63-ეზე მილან ბაროშმა ვახოუშეკისამებრ თავურით გაიტანა, 65-ეზე კი ოლბოკმა, როგორც მერე აღმოჩნდა, მატჩის უკანასკნელი გოლი შეაგდო.

აღსანიშნავია, რომ ჩეხები დორტმუნდელების — ტომაშ როსიკისა და იან კოლერის გარეშე თამაშობდნენ, თუმცა აქცენტს მაინც თავდასხმაზე აკეთებდნენ. ეს პირველ რიგში მწვრთნელის დამსახურებაა, მას ჩეხეთში შეტევითი ფეხბურთის მოტრფიალედ იცნობენ.

**ზურაბ რუხაძე შვილი**



REUTERS

მილან ბაროში ერიკ ედმანს გადააფრინდა

## შესანიშნავი ფრედი



REUTERS

ფრედი ბობიჩმა გერმანია მშრალზე არ დატოვა

**თავის დროზე** ფრედი ბობიჩს გერმანული ფეხბურთის მომავალსაც კი უწოდებდნენ. ახლა, ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ფრედის ნაკრებში დაბრუნებას უთუოდ წარმატებული ეთქმის. მართალია, გერმანიამ ჰოლანდიასთან საკუთარ მოედანზე წააგო, თუმცა ბობიჩმა თავისი დასამტკიცებელი დაამტკიცა, გოლიც გაიტანა და ხალხიც მისი ბუნდესნაკრებისთვის საჭიროებაზე აალაპარაკა.

ევრო 96-ის მომგები ფეხბურთელი თავის დროზე „შტუტგარტში“, „დორტმუნდსა“ და „ბოლტონში“ თამაშობდა. ამ სეზონის დასაწყისში კი მათიას ზამერის გუნდიდან დებიუტანტ „ჰანოვერ 96“-ში გადაბარგდა და 9 მატჩში 8 გოლი შეაგდო.

ბობიჩი თითქოს თავისი კარიერის შტუტგარტულ პერიოდს დაუბრუნდა, როდესაც ის, ბალაკოვი და ელბერი „მაგიურ სამკუთხედს“ ქმნიდნენ და მეტოქეების კარში უამრავი გოლი გაჰქონდათ.

ნაკრებში ბოლოს 1998 წლის თებერვალში (საუდის არაბეთთან) ნათამაშები ბობიჩი ფიოლერმა ტრავმირებული იანკერის ნაცვლად გამოიძახა და სასტარტო შემადგენლობაში ათამაშა. ფრედიმაც გაამართლა, ვარდნაში თავურით გაათანაბრა, მეორე ტაიმში კი მისი მოცელვისთვის ჰოლანდიელები პენალტსაც იმსახურებდნენ, თუმცა მსაჯმა სხვაგვარად განსაჯა.

„კარგი მატჩი იყო. რაც მთავარია, მე ვითამაშე საკადრისად — გახარებული იყო ბობიჩი — მართალია, უკეთესი იქნებოდა, რომ მოგვეგო ან ფრე მაინც გვეთამაშა, მაგრამ ამხანაგური შეხვედრაა და ამიტომაც არ ვარ მაინცდამაინც გულდაწყვეტილი.“

ბობიჩის კარგი თამაში ფიოლერმაც გამოარჩია. „ფრედი შესანიშნავი იყო. მან არა მარტო გოლი გაიტანა, ბევრიც იმუშავა, თან ძალიან სასარგებლოდ“ — აღნიშნა ფიოლერმა.

ბოლოს კი ისიც ვთქვათ, რომ ეს მატჩი ფრედისთვის საიუბილეო, მე-20 იყო ეროვნულ გუნდში, გოლი კი ოდენ მესამე გაიტანა.

**სერგი ჟორჟიძე**

## ამხანაგური მატჩები

# თქვენისთანები მინახავს...
## იტალიაში ცხოვრება ძნელია

**იტალია 1:1 თურქეთი**
0:1 ემრე ბელოზოღლუ (28), 1:1 ვიერი (38)
იტალია: ბუფონი (ტოლდო 46), ბირინდელი, კანავარო (ლეგროტალიე 20), იულიანო, ძაური (ფერარი 78), ნერვო (პირლო 78), დი ბიაჯო (ამბროზინი 46), პეროტა, დი ნატალე (მანჯარო 85), ვიერი (ინძაგი 46), დელ პიერო (დიკაიო 20)
თურქეთი: ომერი, ერგუნი (თუნჯაი 87), ბიულენთი (ემრე აშიქი 78), ალპაი (უმით ოზატი 78), ფათიჰი (იბრაჰიმი 87), ემრე ბელოზოღლუ (ტაიფური 46), თუგაი, ოკანი (შაში 61), ბაშთურქი (ჯიჰანი 46), ილჰანი, არიფი
მსაჯი: პასკალ გარიბიანი (საფრანგეთი)
17 500 მაყურებელი

**თურქეთს** აქამდე იტალიასთან არასდროს მოეგო და ვერც ამჯერად მოუგო. ოსმალებმა პესკარაში თამაში ისე დაიწყეს, რომ გამარჯვება ჰქონდათ ჩაფიქრებული, საბოლოოდ კი ოღენ ფრეს დასჯერდნენ.

კვლავაც ნაკრების თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი მეტოქეს ალესანდრო ნესტასა და ფრანჩესკო ტოტის გარეშე დაუხვდა, თუმცა იტალიელები საკადრო პრობლემებს ნამდვილად არ განიცდიან. მასპინძელთა მწვრთნელმა ახალწვეულებს თავის გამოჩენის შანსი მისცა და როგორც ნამატჩევს აღნიშნა, კმაყოფილიც დარჩა. მატეო ფერარიმ, კარლო ნერვომ, სიმონე პეროტამ და ემპოლელმა მეგოლემ ანტონიო დი ნატალემ ტრაპატონისგან ტკბილი სიტყვები დაიმსახურეს. არც კიევოელ ნიკოლა ლეგროტალიეს უთამაშია ურიგოდ, რომელმაც ფაბიო კანავარო შეცვალა.

შენოლ გიუნეშმა რუშთუს ადგილი ომერს ანდო და ალბათ ინანა კიდეც, რადგან სწორედ კარიდან მისი უაზრო გამოსვლის გამო გაათანაბრეს იტალიელებმა.


კრისტიან ვიერის ამ დარტყმამ ჯოვანი ტრაპატონი იგერ მერამდენედ გადაარჩინა

ზვალ გასამართი მილანური დერბის, „მილანი“ — „ინტერის“ მატჩს ამ ამხანაგურ შეხვედრასთან პირდაპირი კავშირი აქვს. „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ოქან ბურუქი, ემრე ბელოზოღლუ, ფაბიო კანავარო, ფრანჩესკო ტოლდო და ლუიჯი დი ბიაჯო პესკარაში საკუთარი თვითმფრინავით გაამგზავრა და ცხადია, უკანვე იმავ ტრანსპორტით დააბრუნა. თან ტრაპატონისთვის და გიუნეშისთვის უთხოვია, ეს ბიჭები შაბათს საომრად მჭირდება და არ გადაღალოთო. მთლიანობაში იტალიელმა რვა, ხოლო თურქმა შვიდი შეცვლა გააკეთა, თუმც შედეგი ველარ შეცვალეს.

საგოლე მომენტებით მატჩი დახუნძლული არ ყოფილა, მაგრამ პირველმა ტაიმმა გაცილებით მაღალ ტემპში და თვალსასეიროდ ჩაიარა. თურქთაგან ემრე გამოირჩეოდა, რომლის წამოწყებულ კომბინაციასაც მოჰყვა გოლი. მან ცენტრიდან აითრია ბურთი, თუგაის გაუთამაშა და ბუფონს მარჯვენა მაღალ კუთხეში გაუტანა.

მასპინძლებს ათი წუთი დასჭირდათ გასათანაბრებლად. კრისტიან ვიერიმ მცველსაც გაასწრო, წამოწოლილ მეკარესაც და საკმაოდ მახვილი კუთხიდან უზუსტესად შეაგორა ცარიელ კარში. ომერის შეცდომამ შენოლ გიუნეში კი გააბრაზა, მაგრამ...

შესვენების შემდეგ ტემპმა იკლო და ბევრმა ცვლილებამ თამაშს დაღი დაასვა. ასპროცენტიანი მომენტი გაანიავა ფილიპო ინძაგიმ, როცა თურქთა მეკარეს თვალთვალ შეეყარა, დარტყმა კი გაუცუდდა.

მატჩის შემოსავალი 260 ათასი ევრო იტალიაში მომხდარი მიწისძვრისგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადარიცხეს.

იტალიურმა პრესამ კიდევ ერთხელ შეაჯანჯღარა ჯოვანი ტრაპატონი ვერმოგებული შეხვედრისთვის: „კრისტიან ვიერიმ ტრაპი ისევ გადაარჩინა“, „ვიერიმ ტრაპატონის დღეები გაუხანგრძლივა“, „ტრაპატონის ერას დასასრული არ უჩანს“, აი, ასეთი იყო ზოგადად იქაური მედიის აზრი.

თვითონ მასპინძელთა მწვრთნელი არხეინად იყო და არ ნერვიულობდა: „ჩემთვის არახალია, რომ იტალიაში ნაკრების თავკაცის ცხოვრება ძალიან მძიმეა. ბევრი ლანძღვა მომისმენია. ილაპარაკონ, რაც სურთ. მჯერა ჩემი შესაძლებლობისა და ნაკრების ფეხბურთელებისა. განსაკუთრებით ახალწვეულებმა გამახარეს.“

რაც შეეხება შენოლ გიუნეშს, მან რუსული თურქულად თქვა, მეგობრობამ გაიმარჯვაო.

**მაჭა ხუციშვილი**


მორის როსი ლუიშ ფიგუს გამჩერებელი არ იყო

# ბრაგაში შოტლანდია დაიტბორა

**პორტუგალია 2:0 შოტლანდია**
1:0, 2:0 პაულეტა (8, 17)
პორტუგალია: კიში (ნ. პერეირა 88), რუი ჟორჟე (რიბეირუ 67), რიკარდუ როშა, მეირა, ფ. კოუტუ, ს. კონსეისაუ, ტ. მენდეში (ნუნუ ასისი 83), ფიგუ (მ. ფერეირა 46), რუი კოშტა (მ. მენდეში 57), სიმაო (ნ. ფერნანდეში 76), პაულეტა (ნუნუ გომეში 46)
შოტლანდია: დუგლასი, რ. ანდერსონი (მაკინესი 83), პრესლი, უილკი (სევერინი 84), ალექსანდერი, დეილი, ლამბერტი (ტ. უილიამსი 67), ნეისმიტი, მორის როსი (დევლინი 46), დობი (კაილი 77), კროუფორდი
მსაჯი: ვიორელ ანგელინი (რუმინეთი)
12 000 მაყურებელი

**პორტუგალიამ** შოტლანდიას იოლად მოუგო. გოლები პირველ ტაიმში გავიდა, ორივე პაულეტამ გაიტანა, მოედანი კი დატბორილი გახლდათ.

ბრაგაში გამართულ ამ შეხვედრაში სტუმართა კარში ბურთი პირველად მე-8 წუთზე შევარდა, როდესაც „ბორდოს“ ფორვარდმა, რომელიც მეტოქის მეკარის, რობერტ დუგლასის ახლომახლო ტრიალებდა, სერჟიუ კონსეისაუს დაბლა დარტყმულ ბურთს მიმართულება შეუცვალა. იმავე თავდამსხმელმა, პაულეტამ, ცხრა წუთში მეორედაც გაიტანა. ამ ეპიზოდში საგოლე პასი ლუიშ ფიგუმ ჩააწოდა, ხოლო სქოთი მცველი მორის როსი სათანადოდ სხარტი ვერ გამოდგა.

აღსანიშნავია, რომ ფიგუმ პენალტი გააფუჭა. მე-15 წუთი იყო, როდესაც იგი ნელა გაიქცა და ბურთი პირდაპირ მეკარეს დაუმიზნა. სიმაოს მოგერიებული ბურთისთვის ფეხის მიკვრა ძალიანაც უნდოდა, მაგრამ ხომ გითხარით, რომ მოედანი დატბორილი იყო და ფეხი დაუსხლტა.

კიდევ, სანამ პირველი ტაიმი დამთავრდებოდა, პორტუგალიის ნაკრების დებიუტანტმა ტიაგო მენდეშმა, ისევ და ისევ ფიგუს პასით ბურთი ძელს გაარტყა — თავური იყო, ხოლო მასპინძლების მეკარემ, კიმ სილვამ ერთადერთხელ მაშინ იხსნა კარი, როდესაც სტივენ კროუფორდმა 20 მეტრიდან დაარტყა.

ამ შეხვედრაში მასპინძლების მწვრთნელმა, აგოსტინო ოლივეირამ ხუთ ახალგაზრდას გაუხარა გული — ნაკრებში პირველად ათამაშა, მისმა მეტოქე კოლეგამ, გერმანელმა ბერტი ფოგტსმა კი ისეთი შეცვლები განახორციელა, რომ შოტლანდიელებმა მეორე ტაიმში კიდევ უარესად ითამაშეს.“

საერთოდაც, მეორე ნახევარი კაპიკად არ ვარგოდა.

„ძალიან ყოჩაღები გამოვდექით. პირველი ტაიმი ჩინებული იყო, მეორეში კი ბევრი კუთხური ჩავაწოდეთ და ვერ გამოვიყენეთ“ — განაცხადა ოლივეირამ, რომელმაც, არ არის გამორიცხული თანამდებობა მსოფლიოს ჩემპიონ სპეციალისტს, ლუიშ ფელიპე სკოლარის დაუთმოს — სანამ ნაკრებს ვხელმძღვანელობ, ყველა ნაბიჯს მიზანმიმართულად გადავდგამ, რათა 2004 წლის ჩემპიონატს ღირსეულად ვუმასპინძლოთ.“

**ბაჩუნა ძიძია**

# ბულგარეთს ჩასძინებია

**ესპანეთი 1:0 ბულგარეთი**
1:0 ხოსე მარი (10)
ესპანეთი: კასილიასი (კანისარესი 46), სალგადო, პუიოლი, მარჩენა (ელგერა 46), ბრავო, მენდიეტა (ეჩებერია 46), ალბელდა, ბარახა (ხავი 46), ვისენტე (კაპდევილა 78), გუტი (კაზი 60), ხოსე მარი (ტრისტანი 46)
ბულგარეთი: ზდრავკოვი (კოლევი 79), კიშიშევი, ტ. პეტროვი (ზაგორჩიჩი 46), ი. პეტკოვი, კირილოვი, მ. პეტროვი, სტილიან პეტროვი (დიმიტროვი 70), პეევი (სვეტოსლავ პეტროვი 70), ბორიმიროვი (იანჩევი 79), ბერბატოვი, მანჩევი (ჩილიკოვი 46)
მსაჯი: ბრუნო კუე (საფრანგეთი)
25 000 მაყურებელი

**ევროპის ჩემპიონატის** შესარჩევ ჯგუფში ასპროცენტიანი შედეგის მქონე ბულგარეთის ნაკრები გრანადაში, ესპანელებთან ამხანაგურად დამარცხდნენ.

მატჩი არცთუ თვალწარმტაცი გამოდგა — უფრო სტუმართა ინერტულობის გამო, ხოლო ესპანელები ჩვეულად თამაშობდნენ და მთელი შეხვედრის განმავლობაში ბურთზე კონტროლი არ დაუკარგავთ.

მასპინძლები მალევე, მეათე წუთზე დაწინაურდნენ. რაულის არყოფნაში ნაკრებში მეორედ მოთამაშე ხოსე მარიმ ბარახასა და ვისენტეს წამოწყებული კომბინაცია ათიოდ მეტრიდან ზუსტი დარტყმით დაასრულა. ამის შემდეგ თითო-თითო თავური გუტიმ და ბარახამაც გაისროლეს ზდრავკოვის კარისკენ, თუმცა ორივემ ააცილა. ერთ მომენტში ესპანელები ფრანგი მსაჯისგან თერთმეტმეტრიანის დანიშვნასაც ითხოვდნენ: გუტისგან მიღებული ბურთით ხოსე მარი საჯარიმოში შეენთო, სადაც ივაილო პეტკოვთან ჯაჯგურში დაეცა, მაგრამ ბრუნო კუემ მასპინძელთა პროტესტი არად ჩააგდო.

ბულგარულებს, არც გოლამდე და არც მას მერე, თავი არაფრით გამოუჩენიათ. საერთოდაც, მეოცე წუთამდე რიგიანად ცხვირიც კი არ გადაუყვიათ მეტოქის სანახებში და სადღაც ტაიმის შუაწელიდან ნელ-ნელა მოეგნენ გონს.

პირველი ტაიმი მაინც ესპანელთა მიერ შექმნილი ხიფათით დასრულდა. გუტის თავური ბელგიელთა კარის ხარიხამ აისხლიტა.

შესვენების შემდეგ შეცვლაზე შესულმა ხოსება ეჩებერიამ, ვისენტესთან ერთად, რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ ბულგარულებმა არც გაუშვეს და არც თვითონ იწევდნენ გასატანად. ერთადერთხელ დანიელ ბორიმიროვმა დაარტყა სანტიაგო კანისარესს.

ინაკი საესი, ესპანელთა მწვრთნელი: „საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ. ბურთს მთელი მატჩის განმავლობაში ვაკონტროლებდით, არაერთი მომენტიც შევქმენით, მაგრამ ბოლო ფაზაში თავდამსხმელები მოიკოჭლებდნენ. უკეთესი იქნებოდა, მეტი გაგვეტანა.“

**მაჭა ხუციშვილი**


პეპე კარლოს მარჩენას კი გადაახტა, მაგრამ რას გამორჩა?

**რუმინეთი 0:1 ხორვატია**
0:1 ტ. მარიჩი (46)
რუმინეთი: ვინტილია (სტელია 48), კონტრა (სტოიკანი 72), რადოი (იენეი 48), რატი, კოჯუ, პოპესკუ (სოავა 72), გოიანე (მუშატერი 46), დ. მუნტეანუ (პეტრე 85), განეა (დანჩუ 21), ჩერნატი (ნიკულესკუ 46), ილიე (სინმარტინიანი 64)
ხორვატია: პლეტიკოშა, ლეკო, დოლონგა (მუმლეკი 82), ტომაში, ტოკიჩი, ტუდორი, შრნა, როსო (ბუჩიჩი 65), ბალაბანი (ტ. მარიჩი 46), ბაბიჩი, ოლიჩი (მ. მარიჩი 30; ბულე 90)

**ეკვადორი 2:2 კოსტა რიკა**
0:1 ჩინჩილია (28), 0:2 ბრენესი (44), 1:2 აგინაგა (75), 2:2 კავიედესი (85)

**ჰონდურასი 1:0 კოლუმბია**
1:0 მ. ნუნიესი (76)

**ნიგერია 0:0 იამაიკა**

**ვენესუელა 1:0 ურუგვაი**
1:0 პაესი (49)

**ესტონეთი 2:0 ისლანდია**
1:0 ვიიკმაე (75), 2:0 ოპერი (84)

**სლოვაკეთი 1:1 უკრაინა**
1:0 კარჰანი (61), 1:1 მელაშჩენკო (84)

**უნგრეთი 1:1 მოლდოვა**
0:1 პატულა (16), 1:1 დარდაი (55)

**მაკედონია 2:3 ისრაელი**
0:1 ზანდბერგი (19), 0:2 ნიმნი (28), 1:2 ვასოსკი (63), 2:2 სედლოვსკი (89), 2:3 ბიტონი (90)

**ლუქსემბურგი 0:0 კაბო ვერდე**

**ტუნისი 0:0 ეგვიპტე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები



REUTERS

იონ დალ ტომასონმა ორჯერ დუდეკი ტყუილად გადაახტუნა

## ბონეკმა ილუზია დაკარგა

**დანია 2:0 პოლონეთი**

1:0 ტომასონი (22), 2:0 ლარსენი (72)
დანია: სკოუგორსენი, ჰელვეგი, ჰენრიკსენი, ლაურსენი, ნ. იენსენი, პოულსენი (ლარსენი 46), გრავესენი, რომედალი (იორგენსენი 82), იორგენსენი (მადსენი 69), ტომასონი, სანდი (გრონკიერი 46)
პოლონეთი: დუდეკი, ბაშჩინსკი, კლოსი, ბაკი, რატაიჩიკი, ჟევლაკოვი (კაშოროვსკი 63), სვიერჩევსკი, კუკიელკა (კასილევსკი 76), კოსოვსკი, ოლისადებე (ნიედზიელანი 60), ჟურავსკი (კუზბა 76)
მსაჯი: რუუდ ბოსენი (ჰოლანდია)
15 364 მაყურებელი

**დანიამ** კოპენჰაგენში პოლონეთს საკმაოდ იოლად მოუგო. პირველი გოლი კრისტიან პოულსენის ბრწყინვალე პასით იონ დალ ტომასონმა გაიტანა 22-ე წუთზე. ტომასონმა წვლილი მეორე გოლშიც დაიდო. სამი პოლონელის გარემოცვაში მილანელმა რომედალს მაინც გაუძერინა პასი, ამ უკანასკნელმაც როელ ლარსონს გაატანინა. ტომასონს 3 წუთში თავისი მეორე გოლის გატანაც შეეძლო, თუმცა ახლოდან დარტყმული ირჯერ დუდეკმა აუღო. საბოლოოდ დანიელებმა თავიანთი უპირატესობა მხოლოდ ორ ბურთში ასახეს, პოლონელებს კი მთელი მატჩის განმავლობაში ხეირიანი არაფერი გაუკეთებიათ.

„გამარჯვება დავიმსახურეთ. ჩემს გუნდში ძალიან ბევრი პოზიტიური დავინახე" — განაცხადა მასპინძელთა თავკაცმა მორტენ ოლსენმა.

პოლონელთა მწვრთნელ ზბიგნევ ბონეკს კი, როგორც ჩანს, ილუზიები მატჩამდეც არ აწუხებდა, თქვა: ეს მოსალოდნელიც იყო. ჩვენ უფრო ძლიერ და უფრო მაღალი კლასის გუნდს შევხვდით. დანიამ ჩვეულ, უმაღლეს დონეზე ითამაშა, ჩვენ კი ბევრი შეცდომა დავუშვით, განსაკუთრებით დაცვის ხაზში.

**სერგი ძორიძე**



REUTERS

გლენ ქროუმ (№11) ირლანდიის 16 წლის წინანდელი ამბავი გაახსენა

## თითიდან გამოწოვილი მიმოხილვა

**საბერძნეთი 0:0 ირლანდია**

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი (ხოფტისი 46), კირიაკოსი, ხარისტიდისი (მაცაოლელუ 46), დაბიზასი (გუმასი 46), ფისასი (ვენეტიდისი 46), ცარტასი (ამანატიდისი 46), ბასინასი (ზაგორაკისი 55), კარაგუნისი (ვაფესი 55), იანაკოპულოსი (გეორგიადისი 46), ხარისტეასი, ნიკოლაიდისი (პაპადოპულოსი 46)
ირლანდია: გივენი, ფინანი, დანი, კანინგემი, ოში, მაკფეილი, კარსლი, ჰოლანდი, ჰილი, დოჰერტი, ქროუ (დელაპი 86)
მწვრთნელი: დონ გივენსი
5 500 მაყურებელი

**ტრაგედიათა** „ეპიდემიის" გამო ათუნში შესუსტებული შემადგენლობით ჩასულმა ირლანდიის ნაკრებმა მაინც მოახერხა 0:0-ის თამაში. აღსანიშნავია, რომ შეხვედრა გვარიანად უსახური და უემური გამოდგა. მასპინძლებს შეტევებში მაინცდამაინც დიდი დაჟინება და აღმაფრენა არ ეტყობოდათ, ხოლო სტუმრებმა პრესინგი დაუპირისპირეს, რამაც, როგორც ხედავთ, გაამართლა.

ირლანდიის ნაკრებმა ყველაზე საინტერესო ის გააკეთა, რომ ნაკრების მაისურა 16 წლის გლენ ქროუს ჩააცვა. ეს ყმაწვილი ირლანდიის ლიგაში თამაშობს, ხოლო ასეთი რამ — ფეხბურთელი ეროვნულ გუნდში ეროვნული პირველობიდან რომ წაეყვანათ — ამ ქვეყანაში, ბოლო 16 წელიწადში არ მომხდარა.

ბურთის ფლობის თვალსაზრისით სტუმრებმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს. მასპინძელთა კარს კი, ფაქტობრივად, ხიფათი არ დამუქრებია.

ბერძენთა სახიფათო მომენტად ავკის წევრის, ვასილის ცარტასის შორეული დარტყმა უნდა ჩავთვალოთ, რომელიც ვილაცამ აისხლიტა, მიმართულება სახიფათოდ უცვალა, მაგრამ შეი გივენს ფარ-ხმალი ვერ დააყრევინა.

შესვენებისას ბერძნების გერმანელმა თავკაცმა ოტო რეჰაგელმა შვიდი ფეხბურთელი შეცვალა, სულ კი ოცი ფეხბურთელი ათამაშა მაშინ, როდესაც ირლანდიელების მწვრთნელს, დონ გივენსს სულ 18 მოთამაშე ჰყავდა წაყვანილი, მათ რიცხვში ხუთი ნახევარმცველი და სამი (!) მეკარე.

ამ მატჩის აღწერისას შეიძლება თითიდან გამოწოვილი სხვა ძალად მომენტების მოტანაც, მაგრამ ვფიქრობთ, არ ღირს. ბოლოს შევახსენებთ, რომ ზემოხსენებული დონ გივენსი ირლანდიელთა ნამდვილი მწვრთნელი სულაც არ არის. იგი დროებით ცვლის ერთი ხნის წინ თანამდებობიდან წასულ მიკ მაკარტის. ერთი სიტყვით, სანამ თამადას აირჩევენ, სადღეგრძელოებს ის ამბობს.

**ბაჩუნა ძიძია**

## კარიერის კარიერა

**საფრანგეთი 3:0 იუგოსლავია**

1:0, 2:0 კარიერი (11, 50), 3:0 კაპო (71)
საფრანგეთი: ბართეზი, ტურამი (მექსესი 80), გალასი, დესაი (მექსესი 46), ბრუმე (სილვესტრი 13), მაკელელე (ვილტორდი 54), ვიეირა, კარიერი (ტულე 85), კაპო, მარლე, ანრი (მორიერა 76)
იუგოსლავია: ევრიჩი, მარკოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, დულიჩი (ტრობოკი 68), კრსტაიჩი (დუდიჩი 85), ვიდიჩი, პ. ჯორჯევიჩი, დ. სტანკოვიჩი (ბოშკოვიჩი 71), მიხაილოვიჩი (სტეფანოვიჩი 60), კეჟმანი, კოვაჩევიჩი (მილოშევიჩი 46)
მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)
75 000 მაყურებელი

**მას შემდეგ**, რაც ჟაკ სანტინიმ როჟე ლემერისგან ნაკრები გადაიბარა, „მამლებს" თამაში არ წაუგიათ. ეს ფრანგთა მეხუთე მატჩი იყო ახალი მწვრთნელის ხელში. ევროპის ჩემპიონებს მთავარკაცი, ზინედინ ზიდანი აკლდათ, თუმცა იუგოსლავიელთა დამარცხება უზიდანოდაც შეძლეს.

მასპინძლებმა დასაწყისშივე შეაფუცხუნეს სტუმართა დაცვა. ანრის დარტყმული დრაგოსლავ ჟევრიჩმა მოიგერია, მაგრამ უკვე მეთერთმეტე წუთზე მეკარემ ტურამ-კარიერის გათამაშებულს ვეღარაფერი მოუხერხა. კარიერმა ახლოდან დაჰკრა და მცველისგან გეზნაცვალმა ბურთმა კარში დაიბუდა.

არც სტუმრები ყოფილან მოწმეებივით. მათგან ყველაზე აქტიურმა მატეა კეჟმანმა ფაბიენ ბართეზი რამდენჯერმე შეაწუხა, თუმცა ფრანგთა კარის დარაჯთა მეტოქეს გატანა არ დაანება.

შესვენების შემდეგ „მამლები" ისევ გააქტიურდნენ და გოლი კვლავ კარიერმა მიითვალა. ორბურთიანი სხვაობით დაწინაურებული სანტინი დამშვიდდა, რასაც ექვსი ცვლილება მოჰყოლა. შეხვედრის ბოლოს მოედანზე მხოლოდ სამი ფეხბურთელი დარჩა მათგან, ვინც გასულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა. მარსელ დესაი კი იმიტომ შეცვალეს, რომ პირველ ნახევარში მუხლის მყესი დაიზიანა.

მესამე გოლი ოლივიე კაპომ გაიფორმა და ფრანგთა გამარჯვებას სოლიდური სახე მისცა. ტიერი ანრის დარტყმული მეკარემ უშნოდ მოიგერია, კაპოც იქვე გაჩნდა და ზუსტად დარტყმა არ გასჭირვებია.

ჟაკ სანტინი, ცხადია, კმაყოფილი იყო: „მატჩამდეც, ისევე როგორც მისი მსვლელობისას, ბევრი რამ შეიცვალა. რამდენიმე ახაწვეულის დღევანდელმა თამაშმა ნამდვილად გამახარა. მადლობელი ვარ მათი და იმ კლუბების, რომლებშიც გამოდიან, რადგან ისინი უპრობლემოდ შეერწყნენ ნაკრებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია სადღეისოდაც და სამომავლოდაც. ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ეს წელი კარგ განწყობაზე უნდა დაგვესრულებინა, რაც შევძელით კიდეც."

დეიენ სავიჩევიჩი, იუგთა მწვრთნელი: „ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი. მეტოქე უკეთ გამოიყურებოდა. დამსახურებულად გაიმარჯვა. პირველ ტაიმში ჩვენც არა გვიშავდა, მაგრამ საფრანგეთის ნაკრებმა თავისი სოლიდურობა დაამტკიცა. ამ მარცხმა დამანახა, რომ დახვეწა გვჭირდება."

**ვატა ხუციშვილი**



REUTERS

სილვენ ვილტორდმა გორან ტრობოკს ხელი გააშლევინა

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. III ტური

# რა მართ მს კამკასიმლმზი...

### IX ჯგუფი

**აზერბაიჯანი 0:2 უელსი**

0:1 სპიდი (10), 0:2 ჰარტსონი (68)
აზერბაიჯანი: ჰასანზადე, ნიფტალიევი, კურბანოვი (ფ. მამედოვი 46), ახმედოვი (ასადოვი 76), იმამალიევი, იადულაევი, მ. გურბანოვი (ისმაილოვი 64), სადიხოვი, გ. გურბანოვი, ვასილიევი, ალიევი
უელსი: ჯოუნსი, დილანი (უეკტონი 73), მელვილი, პეიჯი, ბარნარდი, დევისი, რობინსონი (ტროლოპი 90), სპიდი, გიგზი, ჰარტსონი, ერნშოუ (რობერტსი 90)
მსაჯი: ლუკ ჰუიგე (ბელგია)
15 000 მაყურებელი

**კი ამბობდა** ბაქოში გაფრენის წინ უელსელთა თავკაცი მარკ ჰიუზი, კავკასია თბილისურ 0:5-ს მაგონებსო, მაგრამ მისი ნაკრებისთვის კავკასიაში ახლანდელი სტუმრობა სამი ქულის მომტანი აღმოჩნდა. აზერბაიჯანმა კი ჯგუფში მესამედ წააგო და თავისთვის ჩვეულ ბოლო ადგილზეა. ხოლო მესამედ მომგებმა უელსმა კი ჯგუფში ლიდერობა განიმტკიცა, უახლოეს მდევრებს, იტალიასა და იუგოსლავიას 5 ქულით უსწრებს.

რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის არყოფნაში სტუმრები საწყის წუთებში ცოტა ნერვიულობდნენ, მაგრამ თავისიანები გარი სპიდმა დაამშვიდა. ნიუკასლელი საიმონ დევისის ფლანგიდან პასს გამოეხმაურა და თავის 77-ე სანაკრებო მატჩში მე-5 გოლი გაიტანა.

30-ე წუთისთვის ანგარიშის გაორმაგება რაიან გიგზის პასით ჯონ ჰართსონს შეეძლო, თუმცა ააცილა.

უელსელებმა საბოლოო წერტილი მეორე ტაიმის შუაწელში დასვეს. 68-ე წუთზე დარენ ბერნარდის ჩაწოდებულ საჯარიმოს თავი ჰართსონმა დაუხვედრა.

აზერბაიჯანმა კი ძალიან სუსტად ითამაშა და უელსსაც უპირატესობის შენარჩუნება არ გასჭირვებია. შესაბამისად მარკ ჰიუზის გუნდი დიდ ისტორიულ მიღწევასთანაც ახლოს დგას. ბრიტანელებს ხომ დიდ ტურნირებზე 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ არ უთამაშიათ.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, წლის ბოლო მატჩიც მოგვეგო. ამრიგად, სამი თამაშიდან მაქსიმუმის აღება მოვახერხეთ, რაც შესანიშნავია" — ენაწყლიანობდა ნამატჩევს ჰიუზი. მის ბიჭებს ზედიზედ მეოთხე შეხვედრის მოგებაც ადვილად შეუძლიათ. შემდეგი შესარჩევი თამაში ხომ უელსს გაისად მარტში ისევ ჩვენს მეზობლებთან უწევთ.

ეროვნული ჩემპიონატიც კი არ გვაქვს ამ დროისთვის, ფეხბურთელების არჩევანიც მეტისმეტად ღარიბიაო, ესღა თქვა აზერბაიჯანელთა ახალმა მწვრთნელმა ასკარ აბდულაევმა. როგორც იცით, ჩემპიონატში მონაწილეობაზე ადგილობრივმა კლუბებმა უარი განაცხადეს, რის გამოც პირველობა გაურკვეველი ვადით გადაიდო.

**სერგი ძორიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| იუგოსლავია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ფინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 0 |



აზერბაიჯანელთა მეკარე გარი სპიდთან ვერაფერს გახდა

### I ჯგუფი

**კვიპროსი 2:1 მალტა**

1:0 რაუფმანი (60), 2:0 ოკკასი (74), 2:1 მ. მიფსუდი (90)
კვიპროსი: პანაიოტუ, კონსტანტინუ, იოაკიმი, სპიროუ, თეოდოტუ, საციასი (ხრისოსტომიდისი 61), ოკასი, კაიაფასი, კონსტანტინუ (ნიკოლაუ 67), ოკარიდესი, რაუფმანი (ასიმაკისი 72)
მალტა: მუსკატი, საიდი, ჩეტკუტი, არაბოტი, მამო (მიფსუდი 74), დიმეში, აგიუსი, გიგლიო (ტეუმა 81), მ. მიფსუდი, ა. მიფსუდი (მალია 61), ბოგდანოვიჩი
მსაჯი: ანტონ გენოვი (ბულგარეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 9 |
| ისრაელი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სლოვენია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| მალტა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | 0 |

### IV ჯგუფი

**სან მარინო 0:1 ლატვია**

0:1 ვალენტინი (90ს.კ)
სან მარინო: გასპერონი, ვალენტინი, ჯენარი (ალბანი 86), ბაჩოკი, მატეონი, გობი, მუჩიოლი, მარანი (ძონძინი 52), მონტანა (დე ლუიჯი 59), სელვა, ვანუჩი
ლატვია: კოლინკო, ბლაგონადეჟდინი, სტეპანოვსი, ზემლინსკისი, კოლესნიჩენკო (მირონოვსი 57), ისაკოვსი, ასტაფიევსი, რუბინსი, ბლეიდელისი (შტოლცერსი 46), ვერპაკოვსკისი (მიხოლაპსი 64), პახარსი
მსაჯი: ასიმ ხუდიევი (აზერბაიჯანი)
2 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| შვედეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |


**იყიდება**

მუხიანში კინო-თეატრის შენობა ეზოთი.
შენობის ფართი 1000 მ², ეზო 3500 მ²

ალ. გობრონიძის ქუჩა №10

☎ 34 38 12,
899 16 08 37



### გერმანია. ბუნდესლიგა. XIV ტური

23 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ჰერტა-ვერდერი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 18.30 | 002 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 18.30 | 003 | არმინია-ლევერკუზენი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 18.30 | 004 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 18.30 | 005 | შალკე-ჰანზა | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 18.30 | 006 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 4,4 | 3,4 | 1,65 | 1,91 | 1,2 | 1,11 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 20.30 | 008 | მიუნხენი-ნიურნბერგი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 20.30 | 009 | ჰამბურგი-კოტბუსი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 010 | ჰამბურგი-კოტბუსი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XIV ტური

22 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 011 | ალენი-უნიონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 22.00 | 012 | აინტრახტი-მაინცი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 22.00 | 013 | ალემანია-ვალდჰოფი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 014 | ალემანია-ვალდჰოფი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 22.00 | 015 | დუისბურგი-ობერჰაუზენი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 18.00 | 016 | ბურგჰაუზენი-ზტ.პაული | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 18.00 | 017 | ფიურტი-ტრიერი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 18.00 | 018 | ლიუბეკი-ბრაუნშვაიგი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 18.00 | 019 | კარლსრუე-როიტლინგენი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 23.15 | 020 | კიოლნი-ფრაიბურგი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XVIII ტური

22 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 021 | ქილი-ბაბელსბერგი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 22.30 | 022 | მიუნსტერი-ქემნიცი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | 23 ნოემბერი | | | | | | |
| 17.00 | 023 | ფერლი-ვერდერი(მ) | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 17.00 | 024 | ვატენშაიდი-დინამო | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 17.00 | 025 | კოლო-ურდინგენი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 17.00 | 026 | დორტმუნდი(მ)-ლევერკუზენი(მ) | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 17.00 | 027 | დრეზდენი-ოსნაბრიუკი | 3,5 | 3,3 | 1,9 | 1,69 | 1,23 | 1,2 |
| 17.00 | 028 | აუე-კიოლნი(მ) | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 17.00 | 029 | ჰამბურგი(მ)-პადერბორნი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XX ტური

22 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 030 | აალენი-ფულენდორფი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| | | 23 ნოემბერი | | | | | | |
| 17.30 | 031 | ნოიკირხენი-შვაინფურტი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 17.30 | 032 | რეგენსბურგი-აინტრახტი(მ) | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 17.30 | 033 | ვეჰენი-ზაარბრიუკენი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 17.30 | 034 | ჰოფენჰაიმი-ელვერსბერგი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 17.30 | 035 | ლაუტერნი(მ)-დარმშტადტი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 18.00 | 036 | ბაიერნი(მ)-ზიგენი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 18.00 | 037 | უნტერჰახინგი-კიკერსი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 21.00 | 038 | ოფენბახი-აუგსბურგი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XV ტური

23 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.15 | 039 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 040 | ასტონ ვილა-ვესტ ჰემ. | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 19.00 | 041 | ბოლტონი-ჩელსი | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,59 | 1,28 | 1,25 |
| 19.00 | 042 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 043 | ფულჰემი-ლივერპული | 3,5 | 3,1 | 2,0 | 1,64 | 1,27 | 1,21 |
| 19.00 | 044 | მიდლსბრო-სიტი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 045 | საუთჰემპტონი-არსენალი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 19.00 | 046 | სანდერლენდი-ბირმინგემი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 18.00 | 047 | ტოტენჰემი-ლიდსი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 20.05 | 048 | ჩარლტონი-ბლეკბერნი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XX ტური

23 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 049 | ბრედფორდი-შეფილდი | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| 19.00 | 050 | ბერნლი-ნორვიჩი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 051 | კრისტალ პალასი-გრიმსბი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 052 | იფსვიჩი-ქოვენტრი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 053 | ლესტერი-როტერჰემი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 054 | პრესტონი-ბრაიტონი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 055 | რედინგი-უოტფორდი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 056 | სტოკი-მილუოლი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 19.00 | 057 | უოლსოლი-ჯილინგემი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 058 | ვოლვერჰემპტონი-ნოტინგემი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 21.35 | 059 | უიმბლდონი-პორტსმუთი | 3,8 | 3,2 | 1,85 | 1,73 | 1,24 | 1,17 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 23.45 | 060 | დერბი-უიმბლდონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XIX ტური

23 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 061 | ბრენტფორდი-უიგანი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 062 | ქრიუ-ბლეკპული | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 063 | ჰადერსფილდი-სუინდონი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 064 | ლუტონი-ქუინს პარკი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 065 | მენსფილდი-ბრისტოლი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 19.00 | 066 | ნორთჰემპტონი-პორტ ვეილი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 19.00 | 067 | ნოტსი-კოლჩესტერი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 068 | ოლდჰემი-ჩელტენჰემი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 069 | პიტერბორო-ბარნსლი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 19.00 | 070 | პლიმუთი-სტოკპორტი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 071 | უიკომბი-ტრანმერი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 19.00 | 072 | კარდიფი-ჩესტერფილდი | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
| | 073 | კარდიფი-ჩესტერფილდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |

### ინგლისი. III დივიზიონი. XIX ტური

23 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 075 | როვერსი-რექსჰემი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 076 | კარლაილი-ბერი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 077 | ექსეტერი-კემბრიჯი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 078 | ჰალი-ბოსტონი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 079 | კიდერმინსტერი-ოქსფორდი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 19.00 | 080 | ლეიტონი-ჰარტლპული | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 19.00 | 081 | ლინკოლნი-რაშდენი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 19.00 | 082 | მაკლსფილდი-ტორკი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 083 | როჩდეილი-იორკი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 084 | სკანთორპი-სუონსი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 19.00 | 085 | შრუსბერი-დარლინგტონი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 086 | საუთენდი-ბორნმუთი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

### იტალია. სერია "A". XI ტური

23 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 087 | იუვენტუსი-ბოლონია | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| | 088 | იუვენტუსი-ბოლონია 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 | | | |
| 23.30 | 089 | მილანი-ინტერი | 2,6 | 2,8 | 2,7 | 1,34 | 1,32 | 1,37 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 18.00 | 090 | ბრეშა-უდინეზე | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 18.00 | 091 | კომო-ემპოლი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 18.00 | 092 | პარმა-რომა | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 18.00 | 093 | პერუჯა-კიევო | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 18.00 | 094 | პიაჩენცა-ტორინო | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 18.00 | 095 | რეჯინა-ატალანტა | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 23.30 | 096 | ლაციო-მოდენა | 1,5 | 3,3 | 7,0 | 1,03 | 1,23 | 2,24 |

### იტალია. სერია "B". XIII ტური

22 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 097 | ასკოლი-ანკონა | 2,5 | 2,6 | 3,0 | 1,27 | 1,36 | 1,39 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 18.00 | 098 | კოზენცა-ვენეცია | 2,1 | 2,7 | 3,8 | 1,18 | 1,35 | 1,57 |
| 18.00 | 099 | ლეჩე-ლივორნო | 1,85 | 2,7 | 5,0 | 1,09 | 1,35 | 1,75 |
| 18.00 | 100 | მესინა-ბარი | 2,4 | 2,6 | 3,2 | 1,24 | 1,37 | 1,43 |
| 18.00 | 101 | პალერმო-ტერნანა | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 18.00 | 102 | სალერნიტანა-ნაპოლი | 2,6 | 2,7 | 2,8 | 1,32 | 1,34 | 1,37 |
| 18.00 | 103 | სიენა-სამპდორია | 2,8 | 2,5 | 2,8 | 1,32 | 1,39 | 1,32 |
| 18.00 | 104 | ტრიესტინა-კალიარი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 18.00 | 105 | ვიჩენცა-კატანია | 1,85 | 2,8 | 4,7 | 1,11 | 1,32 | 1,75 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 23.30 | 106 | ჯენოა-ვერონა | 2,2 | 2,6 | 3,6 | 1,19 | 1,36 | 1,5 |

### იტალია. "C1 A" XIII ტური

24 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 107 | კარარეზე-ალბინოლეფე | 2,7 | 2,6 | 2,8 | 1,32 | 1,37 | 1,34 |
| 17.30 | 108 | ლუმეცანე-პროპატრია | 2,25 | 2,6 | 3,5 | 1,2 | 1,36 | 1,49 |
| 17.30 | 109 | პადოვა-რეჯანა | 1,95 | 2,8 | 4,2 | 1,14 | 1,33 | 1,68 |
| 17.30 | 110 | პიზა-სპეცია | 2,0 | 2,6 | 4,4 | 1,13 | 1,37 | 1,63 |
| 17.30 | 111 | პისტოიეზე-ნოვარა | 2,6 | 2,6 | 2,9 | 1,3 | 1,37 | 1,37 |
| 17.30 | 112 | პრატო-ლეკო | 1,85 | 2,7 | 5,0 | 1,09 | 1,35 | 1,75 |
| 17.30 | 113 | სპალ-არეცო | 1,7 | 2,8 | 5,6 | 1,05 | 1,3 | 1,86 |
| 17.30 | 114 | ტრევიზო-ჩიტადელა | 1,6 | 2,9 | 7,0 | 1,03 | 1,3 | 2,05 |
| 17.30 | 115 | ვარეზე-ალცანო | 2,15 | 2,6 | 3,8 | 1,17 | 1,37 | 1,54 |

### იტალია. "C1 B" XIII ტური

24 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 117 | აველინო-ტერამო | 1,75 | 2,7 | 5,6 | 1,06 | 1,33 | 1,82 |
| 17.30 | 118 | კიეტი-ფოჯა | 1,85 | 2,7 | 5,0 | 1,09 | 1,35 | 1,75 |
| 17.30 | 119 | ჯულიანოვა-კროტონე | 2,4 | 2,5 | 3,3 | 1,22 | 1,38 | 1,42 |
| 17.30 | 120 | მარტინა-პატერნო | 1,6 | 2,9 | 7,0 | 1,03 | 1,3 | 2,05 |
| 17.30 | 121 | პესკარა-ტარანტო | 1,6 | 2,9 | 7,0 | 1,03 | 1,3 | 2,05 |
| 17.30 | 122 | სამბენედეტეზე-ფერმანა | 1,65 | 2,8 | 6,5 | 1,03 | 1,31 | 1,95 |
| 17.30 | 123 | ტორესი-სორა | 1,95 | 2,7 | 4,4 | 1,13 | 1,35 | 1,67 |
| 17.30 | 124 | პესარო-ლანჩანო | 1,95 | 2,7 | 4,4 | 1,13 | 1,35 | 1,67 |
| 17.30 | 125 | ვიტერბეზე-ბენევენტო | 2,3 | 2,6 | 3,4 | 1,22 | 1,37 | 1,47 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XI ტური

23 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 127 | სევილია-დეპორტივო | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 24.00 | 128 | ბარსელონა-რეალი | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 00.30 | 129 | რაიო-სოსიედადი | 2,8 | 3,0 | 2,4 | 1,44 | 1,29 | 1,33 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 20.00 | 130 | ვალენსია-ვალიადოლიდი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 131 | ვალენსია-ვალიადოლიდი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 20.00 | 132 | ბილბაო-ესპანიოლი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 20.00 | 133 | სელტა-ოსასუნა | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 20.00 | 134 | მალიორკა-ვილარეალი | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |
| 20.00 | 135 | მალაგა-ალავესი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 20.00 | 136 | უელვა-რასინგი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 23.30 | 137 | ატლეტიკო-ბეტისი | 2,35 | 2,9 | 3,0 | 1,29 | 1,31 | 1,47 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XII ტური

23 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 138 | კომპოსტელა-ელჩე | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 21.30 | 139 | ალმერია-ეიბარი | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 14.30 | 140 | ხეტაფე-ბადახოსი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 15.00 | 141 | ლეგანესი-ალბასეტე | 2,2 | 2,8 | 3,4 | 1,23 | 1,33 | 1,53 |
| 20.00 | 142 | ოვიედო-ნუმანსია | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 20.00 | 143 | სალამანკა-ლას პალმასი | 2,45 | 2,8 | 2,9 | 1,3 | 1,32 | 1,42 |
| 21.00 | 144 | ტენერიფე-სპორტინგი | 1,7 | 3,1 | 4,4 | 1,09 | 1,22 | 1,81 |
| 20.00 | 145 | სარაგოსა-ტერასა | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| 20.00 | 146 | ფეროლი-ხერესი | 2,6 | 2,8 | 2,7 | 1,34 | 1,32 | 1,37 |
| 20.00 | 147 | მურსია-ლევანტე | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| 20.00 | 148 | კორდობა-ეხიდო | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XVI ტური

22 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 149 | მეც-ნანტი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| | | 23 ნოემბერი | | | | | | |
| 20.15 | 150 | მარსელი-ლანსი | 2,15 | 2,8 | 3,5 | 1,21 | 1,33 | 1,55 |
| 23.00 | 151 | ბორდო-აიაჩო | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| 23.00 | 152 | გენგამი-სოშო | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 23.00 | 153 | ლე ავრი-ოსერი | 2,6 | 3,0 | 2,5 | 1,39 | 1,27 | 1,36 |
| 23.00 | 154 | ლილი-ლიონი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 23.00 | 155 | მონპელიე-ბასტია | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 23.00 | 156 | ნიცა-რენი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
19 ნოემბერს არ ულხინდა ნიკა ცქიტიშვილის „დენვერსაც". კოლორადოელები „იუტას" ხვდებოდნენ და ლოგიკის მიხედვით კიდეც უნდა მოეგოთ. ლოგიკა კი სტატისტიკას ემყარება: „დენვერმა" თამაშში მეტოქეზე 22 ბურთით მეტი სროლა მოახერხა, შეტევაში მოხსნილ ბურთებში 23-9 აჯობა „იუტას" და სტუმრებს 31-ჯერ (!) დააკარგვინა ბურთი, მაგრამ ამ ციფრებში ასახული ფაქტობრივი უპირატესობა ვერ შეირგო. ამის მიზეზი ისევ სტატისტიკაში ჩანს. მასპინძლები სროლების მესამედსაც ვერ აგდებდნენ. დენვერელთაგან ვერავინ მოახერხა თუნდაც სროლების ნახევრის გამოყენება. ცქიტიშვილმა ოთხჯერ შეუტია იუტელთა კალათს და ერთხელ ჩააგდო. ჯეფ ბზდელიკი ალბათ ლატუქსავს შეგირდებს. მას თუკი ვინმეს მიმართ არ ექნება პრეტენზია, ეს იუგოსლაველი პრედრაგ სავოვიჩია. სერბი აქამდე 12-კაციან შემადგენლობაშიც ვერ ხვდებოდა, ახლა კი ძირითადი გამთამაშებლის, კრის ვიტნის ტრავმიანობის წყალობით შანსი მიეცა და გამოიყენა კიდეც. ნბა-ში სადებიუტო მატჩში თავს 11 ქულა უსაჩუქრა.

**მემფისი 88:95 ფილადელფია**

**მემფისი:** გუდენი (21), სვიფტი (12 ქულა, 16 მოხსნა, 8 დაფარება)

**ფილადელფია:** აივერსონი (33), მაკალოფი (15 ქულა, 13 მოხსნა)

**ბოსტონი 96:79 ნიუ ჯერსი**

**ბოსტონი:** დელკი (21), უილიამსი (21), პირსი (18)

**ნიუ ჯერსი:** კიდი (19), ჯეფერსონი (16)

**სან ანტონიო 95:88 ლეიკერსი**

**სან ანტონიო:** ჯეკსონი (28), დანკანი (16 ქულა, 18 მოხსნა)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (24 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი), ფოქსი (16)

**ატლანტა 93:103 მინესოტა**

**ატლანტა:** რობინსონი (33), აბდურ-რაჰიმი (23 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), ტერი (17)

**მინესოტა:** ჰადსონი (20), ჯეკსონი (18), გარნეტი (15 ქულა, 12 მოხსნა)

**ტორონტო 95:97 ინდიანა**

**ტორონტო:** ლენარდი (22), ჯ. უილიამსი (21), დევისი (19), პეტერსონი (18)

**ინდიანა:** ჰარინგტონი (22), ონილი (20)

**პორტლენდი 98:84 ორლანდო**

**პორტლენდი:** ვოლესი (26 ქულა, 14 მოხსნა), ანდერსონი (26)

**ორლანდო:** მაკგრეიდი (33)

სტეფანიას და ცქიტიშვილის გუნდები ბევრს აგებენ, ცუდი გუნდები არიან და ეს ბუნებრივია, მაგრამ ნბაში არსებობს უარესი კლუბიც — „მემფის გრიზლზი". ის ხშირად კი არა, ყოველთვის აგებს. მისისიპისპირელები ისევ დამარცხდნენ, ზედიზედ მეთორმეტედ. ამჯერად მათი ცოდვა „ფილადელფიამ" დაიდო. სტუმრად მოთამაშე ფილადელფიელები არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ამ შეხვედრას მოიგებდნენ, რაკი ბოლო რვა დღეში მეექვსე მატჩი უწევდათ და გვარიანადაც გადაიღალნენ. მშველელად ისევ ჭინკა ალენ აივერსონი მოევლინათ. ბოლო ორი სეზონის ბომბარდირი აივერსონი ძნელად ეგუება იმას, რომ მექულეთა წლევანდელი სიის კენწეროზე მის მაგივრად სხვა ზის და კუთვნილი პირველი ადგილის დასაბრუნებლად სვირინგებით გაფუჭებული ტყავიდან ძვრება. ახლაც, დაღლილობის მიუხედავად, 33 ქულა გამოიმუშავა, თან თავისიანებს მორიგი გამარჯვება ჩაუთვალა.

უშაკილონილო „ლეიკერსი" ველარ ახერხებს მარცხების ზვავის შეჩერებას. აგერ, „სან ანტონიოსთანაც" ჩაიჩოქა და წყნარი ოკეანის დივიზიონში ბოლო, მეშვიდე ადგილზე ჩაჩოდა. ახლა ჩემპიონები სრულიად დასავლეთის ცხრილში მე-12 ადგილზე არიან და მხოლოდ „დენვერსა" და „მემფისს" უსწრებენ.

ყოჩაღად გამოიყურება „ინდიანა პეისერზი". ინდიანაპოლისელები ალბათ ბოლო 15 წელიწადში პირველად არ საჭიროებენ სნაიპერ რეჯი მილერს. რეჯის, რომელიც ლამის „ინდიანას" სიმბოლოდ იქცა, ახლა ტრავმა აქვს და ვერ თამაშობს, მაგრამ მისი უმცროსი თანაგუნდელები უმისოდაც აგვარებენ პრობლემებს. ტორონტოში იქაურ „ტირანოზავრებს" მატჩის ბოლოს გამოჰგლიჯეს გამარჯვება და ზედიზედ მერვე ზეობა ჩაიწერეს.

**ირაკლი ფირცხალავა**


AP სან ანტონიოდან

შაყილ ონილი დიდი ბავშვია: მისი „ლეიკერსი" თამაშს თამაშზე აგებს, ის კი უდარდელად იცინება


დავით უსტიაშვილის „აკადემიაში" ჭაბუკთა ნაკრების 7 კანდიდატი თამაშობს

# აკადემიური ჭაბუკები რუსული საგზლით

*1986 წელს დაბადებულ ქართველ ჭაბუკთა ნაკრები მომავალ ზაფხულს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ითამაშებს. სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში 6-დან 10 აგვისტომდე ექვსი ქვეყნის ნაკრები ერთმანეთს შესარჩევი ტურნირის სამ საგზურს შეეცილება, კენჭისყრა ამ დღეებში მოეწყო. ჩვენს ჯგუფში მასპინძელთა გარდა მოხვდნენ საფრანგეთის, პოლონეთის, ბელგიისა და ლუქსემბურგის ჭაბუკთა გუნდები*

**ჩვენს** ნაკრებს თავკაცობენ თამაზ ოქრუაშვილი და დავით უსტიაშვილი. ეს უკანასკნელი საქართველოს ჩემპიონატის დებიუტანტ „აკადემიის" მწვრთნელია, სადაც ჭაბუკთა ნაკრების ბირთვი თამაშობს. უსტიაშვილს გუშინ დავუკავშირდით და კენჭისყრის შედეგებსა და მომავალ გეგმებზე გავესაუბრეთ.

— ახლოს არც ერთ გუნდს ვიცნობ, მაგრამ, ჩემი აზრით, ჯგუფის ფავორიტი საფრანგეთი იქნება. მასპინძლებსაც არ ეყოლებათ ურიგო ნაკრები, ასევე პოლონელებსაც.

**— შეუძლია ჩვენს ნაკრებს ამ ჯგუფიდან გასვლა?**

— ახლა ძნელია გასვლა-ვერგასვლაზე საუბარი, მეტოქეებიც გასაცნობი გვყავს და ჩვენც შესაკრებნი ვართ. ისე, ვფიქრობ, მესამე ადგილზე გასვლის ძალა შეგვწევს და ეგებ მეტისაც.

**— 1986 წლამდე დაბადებულთა ნაკრებს გარკვეული გამოცდილება დაუგროვდა, ივნისში დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ახალგაზრდულ თამაშებზე იბურთავეთ...**

— მოსკოვში კარგი გამოცდილება მივიღეთ და მაღალ შედეგსაც მივაღწიეთ. საბოლოოდ მე-3 ადგილზე გავედით, მაგრამ, ალბათ, გეხსომებათ, სანკტ პეტერბურგის გუნდთან ნახევარფინალურ მატჩში მიკერძოებული მსაჯობის გამო თამაში რომ მივატოვეთ. აშკარად მეტს ვიმსახურებდით, მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა აღარა აქვს. ნაკრებშია ბენეტონელი მანუჩარ მარკოიშვილი, ასევე ამერიკაში მყოფი ირაკლი საყვარელიძე და ვიქტორ სანიკიძე. ეს ბიჭები საკმაოდ გამოცდილნი არიან საერთაშორისო სარბიელზე და დიდ დახმარებას გაგვიწევენ.

**— მათ გარდაც არაერთი პერსპექტიული მოთამაშეა ნაკრებში, თქვენს აღსაზრდელებს ვგულისხმობ...**

— დიახ, „აკადემიიდან" 7 კალათბურთელია ნაკრებში, მათთან ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს. ვფიქრობ, ესენი ზემოთ ნახსენებ ბიჭებს კარგად შეეწყობიან და საწადელსაც მივაღწევთ სლოვაკეთში.

**— როდისთვის გეგმავთ შეკრებას?**

— ეს 7 კალათბურთელი, რომელიც „აკადემიაში" თამაშობს, სულ შეკრებილნი არ არიან? უცხოეთში მყოფები კი, ალბათ, თავ-თავიანთ ქვეყნებში სეზონის დასრულების შემდეგ ჩამოვლენ. ვფიქრობ, გუნდი სრულად ზაფხულის დასაწყისისთვის შეიკრიბება და სათანადო მომზადებასაც გაივლის.

**— შეკრებების მოწყობა ჩვენი ნაკრებებისთვის გვარიანი პრობლემაა. ამ მხრივ თქვენ როგორ გექნებათ საქმე?**

— ჯერჯერობით კონკრეტულად არაფერი ვიცი, მაგრამ არა მგონია, რაიმე პრობლემა შეგვექმნას. კარგი გუნდია და, ალბათ, არც ყურადღება მოაკლდება.

**ირაკლი ბერტაია**

## ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ტურნირი

ევროპაში საკლუბო ტურნირები შეჩერებულია. ბებერ კონტინენტზე 2003 წელს შვედეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებია გახურებული. სანაკრებო კვირეული გუშინწინ დაიწყო და მომავალ ოთხშაბათს დასრულდება. ამ პერიოდში სკანდინავიაში წასვლისთვის მებრძოლნი ჯგუფური ტურნირის სამ ტურს მოილევენ, ჩვენ კი ამ ოთხშაბათს გამართული მატჩების შედეგებსა და სადღეისო ცხრილებს გთავაზობთ.

**A ჯგუფი**

ჰოლანდია 74:88 ლიტვა
შვეიცარია 69:93 უკრაინა
ბულგარეთი 78:82 თურქეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 6 | 5 | 1 | 563:432 | 11 |
| თურქეთი | 6 | 5 | 1 | 467:450 | 11 |
| უკრაინა | 6 | 4 | 2 | 488:470 | 10 |
| ბულგარეთი | 6 | 3 | 3 | 532:520 | 9 |
| შვეიცარია | 6 | 1 | 5 | 395:477 | 7 |
| ჰოლანდია | 6 | 0 | 6 | 432:528 | 6 |

**B ჯგუფი**

ბელგია 59:92 საბერძნეთი
დანია 48:66 ისრაელი
რუმინეთი 70:96 ესპანეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 6 | 6 | 0 | 535:377 | 12 |
| ესპანეთი | 6 | 5 | 1 | 521:411 | 11 |
| ისრაელი | 6 | 4 | 2 | 449:413 | 10 |
| რუმინეთი | 6 | 2 | 4 | 388:494 | 8 |
| ბელგია | 6 | 1 | 5 | 382:467 | 7 |
| დანია | 6 | 0 | 6 | 390:503 | 6 |

**C ჯგუფი**

კვიპროსი 56:95 ბოსნია
ირლანდია 71:80 გერმანია
მაკედონია 85:93 ხორვატია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 6 | 5 | 1 | 518:437 | 11 |
| გერმანია | 6 | 5 | 1 | 489:480 | 11 |
| ბოსნია | 6 | 4 | 2 | 502:440 | 10 |
| მაკედონია | 6 | 2 | 4 | 493:494 | 8 |
| ირლანდია | 6 | 2 | 4 | 432:452 | 8 |
| კვიპროსი | 6 | 0 | 6 | 363:534 | 6 |

**D ჯგუფი**

პოლონეთი 76:86 ლატვია
ბელარუსი 81:79 ესტონეთი
უნგრეთი 94:80 საფრანგეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 6 | 4 | 2 | 518:478 | 10 |
| ლატვია | 6 | 4 | 2 | 545:512 | 10 |
| საფრანგეთი | 6 | 4 | 2 | 470:442 | 10 |
| ესტონეთი | 6 | 2 | 4 | 481:486 | 8 |
| პოლონეთი | 6 | 2 | 4 | 501:529 | 8 |
| ბელარუსი | 6 | 2 | 4 | 431:499 | 8 |

**E ჯგუფი**

ინგლისი 39:97 იტალია
პორტუგალია 99:106 სლოვენია
ჩეხეთი 89:108 რუსეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 530:392 | 11 |
| რუსეთი | 6 | 5 | 1 | 536:444 | 11 |
| სლოვენია | 6 | 3 | 3 | 470:474 | 9 |
| ჩეხეთი | 6 | 2 | 4 | 475:515 | 8 |
| ინგლისი | 6 | 2 | 4 | 383:494 | 8 |
| პორტუგალია | 6 | 1 | 5 | 445:520 | 7 |

(დასაწყისი იხ. „სარბიელი“ №222)

# საუბარი დებიუტში, მიტელშპილში, ენდშპილში მოთელვითა და გადადებული დიალოგით

## ინტერვიუ გარი კასპაროვთან






გარი კასპაროვი და ევროპის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი ბორის კუტინი ბლედში გამართულ პრესკონფერენციაზე

**— მიგაჩნიათ თუ არა, რომ ხვალინდელ კონგრესზე კირსან ილუმჟინოვი უალტერნატივო კანდიდატურაა ფიდეს პრეზიდენტის პოსტზე ასარჩევად?**

— მართლაც ასეა. ის, როგორც პრეზიდენტი, გაიზარდა, გამოცდილება მიიღო, სამყარომ გაიცნო და სამყაროც გაიცნო. ობიექტურნი უნდა ვიყოთ — ჭადრაკისთვის მას ცოტა არ გაუკეთებია. ჯერ ერთი, საკუთარი რამდენი მილიონი აქვს ჩადებული. ასე რომ, კირსანს დღეს ვერავინ აჯობებს.

**— ყალმუხეთში ილუმჟინოვის საპრეზიდენტო არჩევნებში რაიმე ფორმით მონაწილეობა თუ მიიღეთ?**

— უშუალოდ არა. ოლიმპიადისთვის ვემზადებოდი. ისე, გულშემატკივარი გახლდით. მაღიზიანებდა, როგორ უსინდისოდ იქცეოდა კრემლის უმაღლესი ხელმძღვანელობის ერთი ჯგუფი, ან რა შავი პიარი მოაწყვეს კირსანის წინააღმდეგ. მას მარტო იმიტომ უნდა სცე პატივი, რომ ყალმუხეთს კონფლიქტები და სისხლისღვრა ააცილა.

**— ვიფიქროთ, რომ ოდესმე შესაძლოა ფიდეს პრეზიდენტი გახდეთ?**

— არა. ეს გამორიცხულია. ჩემნაირი კაცი ამ თანამდებობაზე არ ვარგა. მე მოქნილობა მაკლია — რასაც ვინმეზე ვფიქრობ, იმას პირში ვახლი, ეს კი დიდი მინუსია.

**— ჭადრაკში მომავალი ადამიანს აქვს თუ მანქანას?**

— ჯერჯერობით, ადამიანს. ჩვენი რესურსი არ ამოწურულა, მაგრამ, ალბათ, შორს არაა ის დღე, როცა მანქანა უპრობლემოდ აჯობებს ადამიანს.

**— დღეს, საყოველთაო კომპიუტერიზაციის პერიოდში, სჭირდება თუ არა მოჭადრაკეს მწვრთნელი მაშინ, როცა თითქმის ყველა შეკითხვაზე მანქანას პასუხი მზად აქვს?**

— აუცილებელია, თანაც, როგორც დამწყებთათვის, ისე პროფესიონალებისთვისაც.

**— რუსეთის გუნდში არ არის არც კრამნიკი, არც ბარეევი, არც დრეევი, არც კარპოვი, არც გალიამოვა. რა მონაწილეობა მიიღეთ თქვენი გუნდის დაკომპლექტებაში და საჭადრაკო ფედერაციის ხელმძღვანელობის წინაშე რაიმე პირობა ხომ არ დაგიდიათ?**

— კრამნიკმა თამაში თავად არ ისურვა — დაღლილობა მოიმიზეზა. დრეევი და ბარეევი კონტრაქტით იყვნენ ხელფეხშეკრულნი. კარპოვზე ვერაფერს გეტყვით. თუმცა, მისი არყოფნა ტრაგედია ნამდვილად არ ყოფილა. ალისა გალიამოვას კი, რამდენადაც ვიცი, რეგლიგიური მოტივაცია გააჩნდა.

თქვენს მიერ მოხსენიებული ოთხი „K“-ს პრაღის მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ მე ვალდებული ვიყავი მეთამაშა. თანაც, სექტემბერში მოსკოვში განცდილი ფიასკოს შემდეგ რეაბილიტაცია აუცილებელი იყო. მგონი, იმედები გავამართლე, არა?

*აქ გაიღიმა და დასძინა, მართლაც კარგად ვითამაშე ნამდვილად ასეა. რუსეთის გუნდის წარმატება, ფაქტობრივად, პირველმა დაფამ განაპირობა, ამ დაფაზე კი მე ვთამაშობდი — თითქოს არ ვიცოდი, ისე დამაჯერებლად ამიხსნა ყველაფერი.*

*ამ დროს მობილურმა დაიწკარუნა და გარიმ მოსკოვს უპასუხა. მივხვდი, რომ საუბარი იმ ხპონსორებსა და თანხებზე იყო, რომლის მოძიება პონომარიოვთან მატჩისთვისაა საჭირო.*

— ჰო, იმას ვამბობდი, რუსეთის ჭადრაკის ფედერაციისთვის კი არავითარი პირობა არ ჩამომირთმევია, — განაგრძელა (თუმცა კულუარებში ამბობენ, რომ გუნდის თითოეულმა წევრმა, რეიტინგის შესაბამისად საკმაოდ სოლიდური ჰონორარი მიიღესო).

**— წლები მიდის. მალე 40 შეგისრულდებათ. გრძნობთ თუ არა ასაკს, რა მოაქვს და რა მიაქვს წლებს?**

— რა თქმა უნდა, ის აღარა ვარ, რაც ამ ოციოდე წლის წინათ ვიყავი, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვა — წლები ჩემს საჭადრაკო კლასზე ჯერჯერობით გავლენას ვერ ახდენენ. მე კვლავ მსოფლიოს პირველ მოჭადრაკედ ვრჩები. მეორე მხრივ, ვგრძნობ, რომ თაობებს შორის მე ერთგვარი შემაერთებელი ხიდი ვარ. დღეს დიდ ჭადრაკს 15-20 წლის ახალგაზრდები თამაშობენ, რომლებსაც მამად შევეფერები. მათთვის მე ერთ-ერთი იმ უკანასკნელი მოჰიკანთაგანი ვარ, ვისაც უთამაშია პეტროსიანთან, ტალთან, ბრონშტეინთან, ფიშერთან... მინდა ხაზგასმით ჩაიწეროთ, რომ ჩემს საჭადრაკო ასაკზე საუბარი ჯერ ადრეა. ამ დონეზე თამაშს კარგა ხანს ვაპირებ.

**— თუ არ ვცდები, გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩში გამარჯვებისთვის მიხეილ ბოტვინიკმა ხუთი ათასი დოლარი მიიღო. დღეს მილიონობით დოლარზეა ლაპარაკი. როგორი მადა აქვთ ელიტარულ მოჭადრაკეებს, სადამდე მივა ჭადრაკის კომერციალიზაცია?**

— მხოლოდ მოჭადრაკეების ფულს რატომ ითვლით? სპორტში სხვები არ აკეთებენ ფულს?

**— როგორ არა: ჩოგბურთში, ფეხბურთში... მაგრამ ახლა ჭადრაკზე ვსაუბრობთ, თანაც მილიონებს ძალზე ცოტანი იღებთ, აი, „საშუალო ფენა“ კი გეჩაგრებათ, რომ არაფერი ვთქვათ ქალებზე...**

— „გათანაბრებაზე“ წავიდეთ? სპონსორი ფულს კასპაროვში დებს და არა, ვთქვათ, ვიღაც ივანოვში ან პეტრიაშვილში. ფეხბურთი საერთოდ არ უნდა ახსენოთ. ეს სხვა სამყაროა, ჩვენ მას ვერასდროს შევწვდებით. ვერც ის რეკორდი მოიხსნება, როცა ჩემსა და კარპოვს შორის ერთ-ერთ მატჩში ჰონორარმა სამ მილიონს მიაღწია. ახლა სხვა დროა. რაც შეეხება საშუალო ფენას, როცა ახალი სისტემა ამუშავდება, ნიჭისა და შედეგების შესაბამისად ფული პროპორციულად ყველას შეხვდება.

იცით, ილუმჟინოვის ერთ-ერთი უხეში შეცდომა რა იყო? მისი ოპონენტების ჯიბრზე, ნოკაუტ-სისტემით პირველივე მსოფლიოს ჩემპიონატზე ხუთმილიონიანი საპრიზო ფონდი რომ დააწესა. შემდეგ თვითონაც იძულებული გახდა და ჩვენც სხვა გზა არ გვექნება — ფონდი შემცირდება და ბოლოს გარკვეულ ოპტიმალურ დონეზე მივა. დღეს ბევრ მოჭადრაკეს ამბიციებიც გაუჩნდა და მადაც გაეხსნა. ისე არ უნდა გამოვიდეს, რომ თანხები მარჯვნივ და მარცხნივ ვფანტოთ. „ფიდე-კომერცს“ ახალი ხელმძღვანელი ჩაუდგება სათავეში და, იმედია, ის ამ სფეროში წესრიგს დაამყარებს.

*კასპაროვი გულისხმობს ამერიკელ გროსმაისტერ იასერ სეირავანიანს, პრაღის ხელშეკრულების ერთ-ერთ ინიციატორსა და ავტორს. მას კასპაროვის კაცად მიიჩნევენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფიდეს სამკაციან კომისიაში, რომელმაც უნდა წარმოადგინოს მსოფლიოს ჩემპიონატის სისტემა, დაყენოს წინადადებები ფინანსურ წყაროებზე და მათი განაწილების პრინციპებზე, სეირავანიანთან ერთად არიან ფიდეს პრეზიდენტის მოადგილე მაკროპულოსი და ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი ე.ზ.).*

**— უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში სამი მწვავე დარტყმა იგემეთ: ჯერ იყო და მანქანამ გაჯობათ, შემდეგ ლონდონში ვლადიმირ კრამნიკმა ღრუბლებიდან მიწაზე დაგაბრუნათ, ბოლოს კი — ფიასკო მოსკოვში, სექტემბერში „ახალი საუკუნის მატჩში“ მოსკოვში რუსეთისა და მსოფლიოს ნაკრებებს შორის რუსეთის ნაკრებიც დამარცხდა და გარი კასპაროვიც — პირველ დაფაზე**

— ამერიკაში დიპ ფრიტცთან მატჩს ნუ გამახსენებთ. ეს კოშმარი იყო. ღმერთმა უწყის, ვისთან წავაგე — კომპიუტერთან თუ მაღალი კლასის მოჭადრაკეთა ერთიან გუნდთან. ლონდონში კრამნიკთან კარგ ფორმაში არ ვიყავი, ბევრი შეცდომა დავუშვი, რაც მთელი რიგი მიზეზებით აიხსნება. ჩემი მოწინააღმდეგე კარგად მოემზადა, ახალი იდეებით შეიარაღებული მოვიდა და ვაღიარებ — წავაგე. მაგრამ წავაგე მხოლოდ იმ კონკრეტულ დროსა და გარემოში. წინ რომ იარო, ხანდახან წარუმატებლობაც უნდა იგემო. კარგია, როცა აგებ და მაინც შეგწევს ძალა უკან ღირსეულად დაბრუნდე. მე რომ ძლიერი ვარ, სულ მალე დავამტკიცე. 2001 წელი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩემს საჭადრაკო კარიერაში. ასე რომ, ლონდონი კატასტროფა არ არის. აი, მოსკოვი კი მართლაც ფიასკოა. სიმართლე გითხრათ, მრცხვენია კიდეც იმ თამაშის ხარისხის და, თავისთავად — შედეგისაც. მთელი ზაფხული არეული ვიყავი, კარგად ვერ დავისვენე, პრაღის შემდეგ მოსვენება არ მქონია. თანაც ძალზე იმოქმედა იერუსალიმის მატჩის გარშემო შექმნილმა სიტუაციამ. მაგრამ კმაყოფილი ვარ, რომ სულ რაღაც ერთ თვეში ბლედში გამოსვლით რეპუტაცია აღვიდგინე.

**— 1886-1957 წლებში, თითქმის 70 წლის განმავლობაში, მსოფლიოს ექვსი ჩემპიონიდან ხუთი სოლიდური მეცნიერები იყვნენ — ლასკერიც, კაპაბლანკაც, ალიოხინიც, ეივეც, ბოტვინიკიც. მომდევნო ნახევარ საუკუნეში ეს ტენდენცია არ შეინიშნება. გავიხსენოთ მუდმივი შეკითხვა და თავსატეხი — ჭადრაკი სპორტია, მეცნიერება თუ ხელოვნება? განა ამ ტრიადიდან „მეცნიერება“ ამოვარდა?**

— წარმოიდგენია ლასკერი და კაპაბლანკა როგორი პროფესორები იქნებოდნენ. ისე კი გასაკვირი არაფერია. დრომ მოიტანა, რომ პროფესიონალებმა უნდა აკეთონ საქმე. დიდი ჭადრაკი ურთულესი პროცესია.

*აქ გარიმ გაიღიმა და დაამატა, რა, რომ მოვინდომო, მეცნიერებათა დოქტორი ვერ გავხდებიო? გულწრფელად მივუგე:*

**— პირადად მე ეჭვი არ მეპარება, ამასთან დარწმუნებული ვარ, რამდენიმე მეცნიერების. თანაც, თქვენ ხომ ამჟამად რუსეთის ისტორიით ხართ გატაცებული და მის ერთ-ერთ მკვლევართან ერთობლივად გიხდებათ მუშაობა.**

— დიახ, პროფესორ ფომენკოსთან ვმუშაობ. ვერ წარმოიდგენთ, რა სიამოვნებას მანიჭებს ყოველივე ეს.

**— აქვს თუ არა ოლიმპიური პერსპექტივა ჭადრაკს? ამბობენ, ფიდესა და წამყვან მოჭადრაკეებს შორის განხეთქილება რომ არ ყოფილიყო, სოკ-ის პრეზიდენტი სამარანჩი თითქმის თანახმა იყო, რომ ჭადრაკი ოლიმპიურ ოჯახში მიეღო. მახსოვს, ლოზანაში ერთ-ერთი შეხვედრისას სამარანჩმა ამ საკითხთან დაკავშირებით მიპასუხა, მოჭადრაკეებმა ჯერ თავიანთ ფედერაციაში დაამყარონ წესრიგი, გაარკვიონ რა უნდათ და მერე მოგვმართონო. ლოზანაში, ოლიმპიურ მუზეუმში გამართული ორი მატჩი, საჩვენებელი სეანსი სიდნეიში... თითქმის ყველაფერი კეთდებოდა საიმისოდ, რომ ჭადრაკს ოლიმპიური რუბიკონი გადაელახა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ჭადრაკის ხუთ რგოლს მიღმა დარჩენაში თქვენც გარკვეული წილი პასუხისმგებლობა გაკისრიათ?**

— არა! ჭადრაკს არაფერი ესაქმება ოლიმპიურ თამაშებზე. ჭადრაკი ოლიმპიურ ოჯახში შესასვლელად მზად არ არის — მას ეს არ დაუმსახურებია. რაც შეეხება საუბარს, რომ დღეს თუ არა ხვალ ეს საკითხი მოგვარდება, ეს სუფთა წყლის სპეკულაციაა. ამასთან დაკავშირებით მივესალმებით სოკ-ის ამჟამინდელი ხელმძღვანელების პოზიციას.

**— თქვენი შეხედულება ქალთა ჭადრაკზე.**

— ძალზე მაღალი აზრის ვარ. ქალთა ჭადრაკი სწრაფი ტემპით ვითარდება და ბევრ მათგანს მამაკაცთა ტურნირებში სერიოზული წარმატებებიც აქვს. თქვენი და ჩინელი ქალების, შვედი პია კრამლინგის და სხვათა მაგალითების მოყვანაც საკმარისია. აღარაფერს ვამბობ იუდით პოლგარზე — სექტემბერში მისგან მწარე მარცხი ვიწვნიე. გეხსომებათ ფიშერის სიტყვები — ნებისმიერ ქალს ფორად მხედარს მივცემ და ვაჯობებო. ეს მაშინაც კი სუფთა წყლის ტრაბახი იყო. მე, მაგალითად, ვერ გავრისკავდი, თუნდაც პაიკი მიმეცა ფორად.

**— ამას წინათ ბაქოში გახლდით. იყო შეხვედრა ქვეყნის პრეზიდენტთან, ეოკ-ის და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელებთან. მათ მიაჩნიათ, რომ თემურ რაჯაბოვი სულ მალე მეორე ბაქოელი მსოფლიოს ჩემპიონი იქნება თქვენს შემდეგ. ორიოდე სიტყვა მასზე და მათზე, რომლებმაც შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლონ.**

— ნიჭიერი ახალგაზრდაა, მაგრამ ამ მაღალ ტიტულზე მან შედეგებით უნდა დაამტკიცოს თავისი პრეტენზია. არ დაგავიწყდეთ, რომ ამ კომპანიაში არიან რუსლან პონომარიოვი, ალექსანდრე გრიშჩუკი, პეტერ ლეკო. მათ შორის სხვაობა 3-5 წელია. ისე კი, მივესალმები, თუ ჩემი თანამემამულე გახდება მსოფლიოს ჩემპიონი.

**— სიტყვამ მოიტანა და იქნებ დაადასტუროთ ან უარყოთ ხმები იმის შესახებ, რომ ჰეიდარ ალიევმა ბაქოში პირადად მიგიწვიათ...**

— ოფიციალურად არავის მოვუწვევივარ...

**— მაგრამ ეს ინფორმაცია ბაქოშიც დამიდასტურეს და მოსკოვშიც.**

— კიდევ ვიმეორებ, მოწვევის ოფიციალური დოკუმენტი მე არ მინახავს. ესეც არაფერს ნიშნავს. მე მყარად ვარ ჩემს ადრინდელ პოზიციაზე — სანამ ბაქოში ყველა ლტოლვილი და განდევნილი სომეხი არ დაბრუნდება, ჩემი ფეხი იქ არ იქნება! აქვე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჰეიდარ ალიევმა თავის დროზე დადებითი როლი ითამაშა ჩემს საჭადრაკო კარიერაზე და მე მისი მადლიერი ვარ.

*ეს თქვა თუ არა, დაუკაკუნებლად ოთახის კარი იური დოხოიანმა და ჟურნალისტმა ევგენი დვორკოვიჩმა შემოაღეს.*

*მომეჩვენა, რომ [illegible]*

— დაკავებული ვარ. ან დამელოდეთ, ან თავადაც კარგად მოვაგნებ დარბაზსო. ისინი უმალ გაიძურწნენ და კასპაროვს მორიგი კითხვით მივუბრუნდი:

**— დოპინგი და ჭადრაკი. იღებთ თუ არა მოჭადრაკეები სტიმულატორებს? თქვენ როგორი დამოკიდებულება გქონდათ ან გაქვთ დოპინგის პრობლემებთან?**

— ეს ყველაფერი ბოდვაა! მოჭადრაკეებს არავითარი დოპინგი არ სჭირდებათ და არც იყენებენ. ახლა ილუმჟინოვიც ფეხის ხმას აჰყვა და ცდილობს დოპინგზე სინჯები პრაქტიკაში შემოიღოს. დოპინგი და სტიმულატორები ძალისმიერი სპორტის სახეობების წარმომადგენლებს სჭირდებათ. ჩვენ ტვინით ვმუშაობთ. უტვინო თუ ხარ, მას ვერანაირი დოპინგი ვერ შეგმატებს. ვიმეორებ ჩვენ გონებით ვმუშაობთ, ვისაც აქვს, აქვს, ვისაც არა და, რა ვუყოთ — ღმერთმა დასაჯა. აი, შეხედეთ, სახეზე გამომაყარა, ალბათ ალერგიაა. მალამო უნდა წავისვა. მერე რა, მალამო წინასწარ შევამოწმო? ერთი სიტყვით, სისულელეა.

**— თქვენი აზრით, რა უნდა იყოს მალამო, რომელსაც ჩინელი გოგონები თავზე ისვამენ და შემდეგ მოწინააღმდეგეებს მძაფრ და არასასიამოვნო სუნს აფრქვევენ? აკი, ჩვენებმაც და თქვენებმაც ერთობლივად პროტესტიც კი დაწერეს.**

— აბა, რა ვიცი?! თავზე თუ რაღაც მალამოს წასმით ჩემპიონები ხდებიან, აფერუმ მაგათ ქალობას. აღმოსავლურ და ჩინურ ხალხურ მედიცინაში, ალბათ, მოიძებნება ისეთი შენაერთები, რომლებსაც არასასიამოვნო სუნი აქვთ.

**— რა მაგის პასუხია და ისე როგორც ვიცით, პროტესტი არც თქვენ აგცდათ. ამბობენ, ჩინელმა ივ იანჩუანმა მსაჯთა კოლეგიას შესჩივლა, კასპაროვი თავის სვლაზე ფიქრისას ხელებით საჭადრაკო დაფაზე სხვადასხვანაირ მოძრაობებს აკეთებს, ფიგურების სავარაუდო სვლებს ჰაერში მონიშნავს ხოლმეო.**

*ამ კითხვაზე კასპაროვმა გულიანად გაიცინა და მომიგო:*

— ჩინელებმა წაგების გამართლების კარგი საშუალება იპოვეს. არაფერსაც არ ვაკეთებ. უბრალოდ, ასეთი ჩვევა მაქვს.

**— მაგრამ ეს ხომ მავნე ჩვევაა, რომელიც მოწინააღმდეგეს ფიქრსა და გონების კონცენტრაციაში ხელს უშლის. ვიცი, რომ სპორტში პარაფსიქოლოგების საქმიანობას თქვენ დადებითად აფასებთ. ესეც ხომ მათი ერთ-ერთი ელემენტია.**

— ჯერ ერთი, ჩემს ხელებს თუ მართლა ასეთი რაღაცეები მოსდის, მხოლოდ მაშინ, როცა ჩემი საათია ჩართული...

**— თქვენ, როგორც წესი, პარტიას დათქმულ დროს არ იწყებთ. დაგვიანება მხოლოდ ჭადრაკს ეხება, თუ ეს თქვენი ერთ-ერთი მინუსთაგანია?**

— ჩვევა რჯულზე უმტკიცესიაო! ისე აეწყო ჩემი საჭადრაკო ბიოგრაფია, რომ სულ დაგვიანება მიწევდა. შემდეგ ეს ჩვევად მექცა. 7-10 წუთი დიდ ჭადრაკში ბევრს ნიშნავს. ჩემზე ამბობენ, რომ დღეს სადებიუტო მომზადებაში ბადალი არ მყავს. დროში ფორის გასაბათილებლად ესეც მშველის. ერთი სიტყვით, პუნქტუალურობის ეტალონი ნამდვილად არ ვარ. აკი თქვენთანაც დავაგვიანე დღეს.

*ეტყობა, პუნქტუალობის გახსენებაზე საათს დახედა, მერე თავი ასწია, ჩემი სავიზიტო ბარათი ხელში შეათამაშა და განაგრძო:*

— თუ დარბაზში არ გამოვჩნდები, ჩვენებზე შეიძლება ამან უარყოფითად იმოქმედოს. ამ მხრივ მე მართლაც დოპინგის ფუნქცია მაკისრია! თქვენები დღეს ვის ხვდებიან?

**— უნგრელებს. თქვენგან განსხვავებით, სამწუხაროდ, მე ასეთი მაგიური ძალა არ მაქვს. კიდევ ერთი შეკითხვა და ენდშპილში გადავიდეთ.**

**თავის დროზე, კარგა ხანს, თქვენს გუნდში ზურაბ აზმაიფარაშვილიც იყო. ახლა კი მისი სახელი თქვენს შტაბთან აღარ ასოცირდება.**

— ამაში გასაკვირი არაფერია. ზურაბთან საკმაოდ ხანგრძლივად ვთანამშრომლობდით და ჩვენს წარმატებებში საკმაოდ პოზიტიური როლიც ითამაშა. შემდეგ ჩემი გუნდი, ფაქტობრივად, მთლიანად განახლდა. აი, სულ ეს არის.

**იმზარ ზენაიშვილი**

**ბლედი — თბილისი**

**(გაგრძელება იქნება)**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვინ დაითვალოს ჰიუიტის ქულები და ფულები

## ქალები გამოსერენდნენ

*საჩოგბურთო სეზონის დასრულებამდე რამდენიმე გუნდურჩოგნის გაქნევაღა დარჩა. ჩოგნები საფინალოდ შეხლილმა ფრანგმა და რუსმა მედევისნაკრებებმა უნდა გაიქნიონ. მათი შეხლა პარიზში, 29 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება.*

*ერთეულთა სეზონი კი უკვე ამოიწურა და საქმეში ჩახედული ხალხი ახლა საშემოდგომო წიწილების, ანუ სხვაგვარად — მეჩოგნეთა ქულად და ფულად მონაგართა აღრიცხვითაა დაკავებული*



ლეიტონ ჰიუიტი

**ქვემოთ** რამდენსამე სიას შემოგთავაზებთ. ნუსხათაგან პირველი ჩემპიონთა რბოლის საფინალო მდგომარეობას ასახავს, მომდევნო ორი ჩამონათვალი 12-თვიანი მცოცავი რეიტინგების საამკვირაო, ანუ შემაჯამებელ ვითარებას წარმოგიდგენთ, ორი ბოლო ნუსხა კი წლეულს ყველაზე მეტი ფულის მომგებ მეჩოგნეთა სიებია.

კაცთა სამივე ჩამონათვალს — ბუნებრივია — ამჟრის 21 წლის ავსტრალიელი უსტაბაში ლეიტონ ჰიუიტი ყოჩობს. ცეცხლოვანმა და გაუტეხელმა ოზბიჭმა სეზონი ჩუტყვავილითა და მშობლიური ღია პირველობის გაცდენით დაიწყო, მაგრამ სეზონის განმავლობაში მაინც სტაბილურად, კისკასად იჩოგნავა და 12-თვიანი რეიტინგსიის კენწერო ერთი კვირითაც არ დაუთმია. ჩემპიონთა რბოლის სათავეში კი ის უიმბლდონზე წარმატების შემდეგ მოექცა. სულ ჰიუიტმა წლეულს ხუთი ტიტული მიითვალა — უიმბლდონის გარდა მან კიდევ სან ხოსეს ღია ტურნირზე, ინდიან უელსურ მასტერსტურნირზე, ლონდონურ სტელა არტუას ჩემპიონატსა და შანხაიურ მასტერსთასზე იმარჯვა. იგი ერთადერთია, ვინც წლეულს 60-მოგებიან თამასას შესწვდა.

მის დარად ხუთი ტიტულის მოხვეჭა წლეულს მხოლოდ ანდრე აგასიმ მოახერხა. შებერებულმა გენიოსმა სამი — მაიამური, რომაული და მადრიდული მასტერსტურნირი პლუს ორიც ჩვეულებრივი — სკოტსდეილური და ლოს ანჯელესური კორტი დაარბია. ოთხი ტიტულით სეზონი ერთადერთმა კარლოს მოიამ გაასრულა — აკაპულკოურ, ბასტადურ და უმაგურ თიხნარსაფრებზე მორეწილ ტიტულებს მან მოგვიანებით ცინცინატურ მასტერსზე მოპოვებულიც დაურთო. სამ-სამ ტურნირზე კი როჯერ ფედერერმა და მაროკოელმა იუნეს ელ აინაუიმ იმარჯვეს. პირველმა სიდნეიში, ჰამბურგის მასტერსტურნირსა და ვენაში გაილაღა, ხოლო მეორემ — დოჰაში, კასაბლანკასა და მიუნხენში. ორ-ორ ტიტულიანთა შორის (თაობათა „კლებადობის" მიხედვით) არიან — ევგენი კაფელნიკოვი (ჰალე, ტაშკენტი), გრეგ რუზეცკი (ოკლენდი, ინდიანაპოლისი), ალექს კორეჩა (გშტაადი, კიცბიუელი), დავიდე სანგვინეტი (მილანი, დელრი ბიჩი), გილერმო კანიასი (მადრასი, ტორონტოს მასტერსი), პარადორნ შრიჩაფანი (კომაკი, სტოკჰოლმი), გასტონ გაუდიო (ბარსელონა, მალიორკა), ხუან კარლოს ფერერო (მონტე კარლოური მასტერსი, ჰონგ კონგი), დავიდ ნალბანდიანი (ეშტორილი, ბაზელი), ფერნანდო გონსალესი (ვინა დელ მარი, პალერმო), ენდი როდიკი (მემფისი, ჰიუსტონი) და პოლ-ანრი მათიო (მოსკოვი, ლიონი). პიტ სამპრასი (აშშ-ის ღია პირველობა), ტომას იოჰანსონი (ავსტრალიის ღია პირველობა), ალ კოსტა (საფრანგეთის ღია პირველობა), გუსტავო კუერტენი (სალვადორი), მარატ საფინი (პარიზული მასტერსი), ტიმ ჰენმანი (ადელაიდა) და სხვა სახელიანი თუ უსახელო მეჩოგნენი წლეულს მხოლოდ თითო-თითო ტიტულს დასჯერდნენ.

რაც შეეხება ქალთა მხარეს, შავდა უილიამსთა ბატონობა ამ სეზონში არავითარ გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. რეიტინგსიის მოთავეობა ვინუსმა 25 თებერვალს ჯენიფერ კაპრიატის ჩამოართვა, თუმცა ადგილის დათმობა წლეულს უბრწყინვალესად მოჩოგნავე უმცროსი დაიკოსთვის მოუხდა — სერენა იქ 8 ივლისს, უიმბლდონურ ფინალში სწორედ ვინუსთან მოგების შემდეგ შესკუპდა. მამა რიჩის ამ ჯანიანი გოგოს მარგი ქმედება ამ სეზონში მართლაც შესაშური იყო. მან მხოლოდ 13 ტურნირზე ითამაშა და ჯამში 8 ტიტულის მოქუჩება შეძლო. მისი მძლავრი კიდურების ქვეშ — როლან გაროსული, უიმბლდონური და ფლეშინგ მედოუზური სლემკორტების კიდევან — სკოტსდეილური, მაიამური, რომაული, ტოკიოური და ლაიპციგური კორტებიც განერთხა. 16 ტურნირზე ნაპაექრებმა ვინუსმა მასზე ერთით ნაკლები ტიტული მოიპოვა (გოლდ კოსტში, პარიზში, ანტვერპენში, ამელია აილენდში, სტენფორდში, სან დიეგოსა და ნიუ ჰევენში). მათ გარდა გამოსარჩევია ისრაელელი ანა სმაშნოვასა და ბელგიელი კიმ კლაისტერსის 4-4 ტიტულიანი გარჯა. პირველმა ოკლენდში, კანბერაში, ვენასა და შანხაიში იმარჯვა, მეორემ კი მაისში რომ ჰამბურგული ბობოლა ტურნირი მოიგო, ოქტომბრამდე კინკილა ჯილდოც აღარ რგებია, ოქტომბერში ფილდერშტადტურსა და ლუქსემბურგულ ტურნირებზე ნაზეირებმა კი ქალთა სეზონის საგვირგვინო (ლოს ანჯელესურ) ჩემპიონატზეც გაიპარპაშა. ჯენიფერ კაპრიატის ავსტრალიის ღია პირველობის მეტი თავი არსად გამოუჩენია, მარტინა ჰინგისი კი მხოლოდ სიდნეისა და ტოკიოს ტურნირებს დაჰყაბულდა. ასევე ორ-ორი ტიტული მოიმკეს მონიკა სელეშმა (ყატარი, მადრიდი), ამელი მორესმომ (დუბაი, მონრეალი), ჟუსტინ ენენმა (ბერლინი, ლინცი), ელენა დოკიჩმა (სარასოტა, ბირმინგემი), ჩანდა რუბინმა (ისტბორნი, ლოს ანჯელესი), ელენა ბოვინამ (ვარშავა, კვებეკი) და სვეტლანა კუზნეცოვამ (ჰელსინკი, ბალი). თითო-თითო ტიტული მოინაგრეს ივა მაიოლიმ (ჩარლსტონი), დანიელა ჰანტუხოვამ (ინდიან უელსი), ანასტასია მისკინამ (სალვადორი), მაგდალენა მალეევამ (მოსკოვი), პატი შნიდერმა (ციურიხი) და სილვია ფარინა ელიამ (სტრასბური).

**ლევან ძელაურაძე**



სერენა უილიამსი

### 12-თვიანი მცოცავი რეიტინგსიები

| ვაჟები | | ქალები | |
|---|---|---|---|
| 1. ჰიუიტი | 4485ქ. | 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 6080 |
| 2. აგასი | 3395 | 2. ვინუს უილიამსი (აშშ) | 5140 |
| 3. საფინი | 2845 | 3. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 3796 |
| 4. ფერერო | 2740 | 4. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 3557 |
| 5. მოია | 2630 | 5. ჟუსტინ ენენი (ბელგია) | 3218 |
| 6. ფედერერი | 2590 | 6. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3068 |
| 7. ნოვაკი | 2335 | 7. მონიკა სელეში (აშშ) | 2952 |
| 8. ჰენმანი | 2215 | 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2667 |
| 9. კოსტა | 2070 | 9. ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) | 2506 |
| 10. როდიკი | 2045 | 10. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2348 |
| 11. ჰაასი | 2020 | 11. ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 1908 |
| 12. ნალბანდიანი | 1775 | 12. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 1795 |
| 13. სამპრასი | 1735 | 13. ჩანდა რუბინი (აშშ) | 1752 |
| 14. იოჰანსონი | 1725 | 14. მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) | 1701 |
| 15. კანიასი | 1725 | 15. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1644 |
| 16. შრიჩაფანი | 1681 | 16. ანა სმაშნოვა (ისრაელი) | 1616 |
| 17. გროჟანი | 1640 | 17. სილვია ფარინა ელია (იტალია) | 1596 |
| 18. გონსალესი | 1636 | 18. ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) | 1444 |
| 19. კორეჩა | 1555 | 19. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1426 |
| 20. შალკენი | 1525 | 20. ნატალი დეში (საფრანგეთი) | 1295 |

### ჩემპიონთა რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 897ქ. |
| 2. ანდრე აგასი (აშშ) | 679 |
| 3. მარატ საფინი (რუსეთი) | 569 |
| 4. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 548 |
| 5. კარლოს მოია (ესპანეთი) | 526 |
| 6. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 518 |
| 7. ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 467 |
| 8. ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 443 |
| 9. ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 414 |
| 10. ენდი როდიკი (აშშ) | 409 |
| 11. ტომი ჰაასი (გერმანია) | 404 |
| 12. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 355 |
| 13. პიტ სამპრასი (აშშ) | 347 |
| 14. ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 345 |
| 15. გილერმო კანიასი (არგენტინა) | 345 |
| 16. სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 328 |
| 17. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 326 |
| 18. პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) | 321 |
| 19. ალექს კორეჩა (ესპანეთი) | 311 |
| 20. სხენგ შალკენი (ჰოლანდია) | 305 |

### ვინ რამდენი $ მოიხვეჭა

| ვაჟები | | ქალები | |
|---|---|---|---|
| 1. ჰიუტი | 4619386$ | 1. სერენა უილიამსი | 3935668 |
| 2. ფერერო | 2761498 | 2. ვინუს უილიამსი | 2583571 |
| 3. აგასი | 2186006 | 3. კაპრიატი | 2217939 |
| 4. ფედერერი | 1995027 | 4. კლაისტერსი | 1754376 |
| 5. ევგენი კაფელნიკოვი (რუს.) | 1778810 | 5. ჰინგისი | 1467584 |
| 6. მოია | 1772314 | 6. ენენი | 1213093 |
| 7. საფინი | 1719408 | 7. ჰანტუხოვა | 1188379 |
| 8. ნოვაკი | 1454130 | 8. სელეში | 1096630 |
| 9. კოსტა | 1434439 | 9. მორესმო | 1073807 |
| 10. გროჟანი | 1331157 | 10. დოკიჩი | 918633 |
| 11. კანიასი | 1276617 | 11. დემენტიევა | 844325 |
| 12. სამპრასი | 1222999 | 12. დევენპორტი | 805191 |
| 13. ჰენმანი | 1194899 | 13. პაოლა სუარესი (არგ.) | 797503 |
| 14. ჰაასი | 1163569 | 14. ლიზა რეიმონდი (აშშ) | 738157 |
| 15. როდიკი | 1060878 | 15. ვირხინია პასკუალი (ესპ.) | 637418 |
| 16. იოჰანსონი | 1028691 | 16. მალეევა | 615813 |
| 17. მაქს მირნი (ბელ.) | 975672 | 17. ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკ.) | 599021 |
| 18. ნალბანდიანი | 914882 | 18. შნიდერი | 591655 |
| 19. შალკენი | 888581 | 19. ფარინა ელია | 568322 |
| 20. ფაბრის სანტორო (საფრ.) | 810555 | 20. ელენა ლიხოვცევა (რუს.) | 551692 |



რეგულარული ჩემპიონატი

# პასმორი: ჩიკაგოს პასივი

20 ნოემბერი

**პიტსბურგი 2:3 მონრეალი 1:0 1:2 0:0 0:1**

**1:0 პრდინა (14), 1:1 პერო (32), 1:2 ზედნიკი (33), 2:2 პრდინა (35), 2:3 მარკოვი (63)**

მხოლოდ მარიო ლემიეს ბრწყინვალე თამაში და რიცხვმრავლობის ჩინებულად გამოყენება (მეტწილად ესეც მარიო ლემიეს დამსახურებაა), ეს გახლავთ ღლევანდელი პიტსბურგის თულფი. ეს მეტოქეებმა კარგად უწყიან და შესაბამის ზომებსაც ღებულობენ. ლემიე მაინც ახერხებს მცველთა გაცურებას, ამიტომაცაა დიდი მოთამაშე. თუნდაც ეს თამაში ავიღოთ — მონრეალი აშკარად სჯობდა პიტსბურგს, გაცილებით მეტი მომენტიც შექმნა, ხშირადაც ურტყავდა (35-25), მაგრამ ლემიემ მაინც მოიპოვა ქულა თავისი გუნდისთვის. თავად სუპერმარიოს არ გაუტანია, მაგრამ იან ჰრდინა ორჯერ ახეირა. ჰრდინამ ერთხელ უმრავლესობაში დაამატა ლემიეს დარტყმულს, მეორედ კი მარიომ კარის სიახლოვეს იჯაჯგურა და შაიბა ჩეხს გადააწოდა. ლემიეს კარგი თამაშის მიუხედავად სტუმრებმა ოვერტაიმში მაინც მიაღწიეს მიზანს.

**კოლუმბუსი 3:2 სენტ ლუისი 1:1 0:0 2:1**

**0:1 დემიტრა (1), 1:1 სილინჯერი (16), 2:1 მარშალი (44), 2:2 მაკინისი (54), 3:2 ვიბორნი (60).**

კოლუმბუსი თანდათან ხორცს ისხავს და შეტევებს თავისზე გაცილებით გამოცდილ გუნდებსაც არ პატიობს. კოლუმბუსში ჩასულ სენტლუისელ „ბლუზმენებს" ალბათ შინ ერთი ქულა მაინც უნდა წაეღოთ, მაგრამ ბოლო წუთზე დაშვებული ერთი შეცდომისთვის თავი წააგეს. რუჩინსკის გადაცემული პასი მასპინძელმა რეი უიტნიმ ჩაჭრა და უმალ დავიდ ვიბორნის გადააწოდა. მანაც ჩინებულად გამოიყენა შანსი და 13-მატჩიანი უგოლობაც შეწყვიტა.

**ფლორიდა 3:3 ანაჰაიმი 2:1 1:1 0:1 0:0**

**0:1 ლაპოინტი (2), 1:1 ურრელი (12), 2:1 ბაგმანი (15), 2:2 იაშინი (28), 3:2 კოზლოვი (33), 3:3 იუნსონი (47)**

**ფინიქსი 2:2 დალასი 0:2 2:0 0:0 0:0**

**0:1 მოროუ (16), 0:2 ზუბოვი (17), 1:2 ქუინტი (33), 2:2 დ. მარკოვი (40)**

**ვანკუვერი 5:3 ჩიკაგო 2:1 2:2 1:0**

**1:0 ლინდენი (1), 2:0 კუკი (4), 2:1 სალივანი (8), 3:1 მორისონი (10), 3:2 დაზე (31), 4:2 ნესლუნდი (35), 4:3 არნასონი (35), 5:3 ნესლუნდი (52)**

სამკვირიანმა უქმობამ ჩიკაგოს მეკარე სტივ პასმორი საქმეს გადააჩვია. მანამდე ზედიზედ 8 მატჩში იგი სათადარიგოთა სკამიდან უცქერდა თავის კოლეგა ჟოსლენ ტიბოს მუშაობას, ამჯერად კი თავკაცებმა ძირითად მეკარეს დასვენების საშუალება მისცეს და უკვე მე-14 წამზე სასტიკად ინანეს. ვანკუვერელი ტრევორ ლინდენის დარტყმა სულაც არ იყო აუღებელი, მაგრამ პასმორმა ვერ ივარგა. აღსანიშნავია, რომ ეს ლინდენის 262-ე ვანკუვერული გოლი იყო, რომლითაც ის კლუბის რეკორდსმენი შეიქნა. სტუმართა მეკარეს კი არც შემდეგ გამოუჩენია დიდად თავი.

**სამველ ღარიბიანი**



ვანკუვერის მეკარემ დან კლუტიემ სამი გოლი გაუშვა, მაგრამ მისი გუნდი მარცხს მაინც ასცდა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ბავშვთა დღე

ოც ნოემბერს ბავშვთა მსოფლიო დღე იყო და „რონალდ მაკდონალდ ჰიუსმა“ გადაწყვიტა მთელს მსოფლიოში ქველმოქმედება გაეწია. ყველა მაკდონალდსის რესტორანში, მათ შორის თბილისშიც, ბავშვთა გახალისების ღონისძიებები გაიმართა. დახლიდარებად სულ განთქმული ადამიანები იყვნენ. ნიუ იორკის ტაიმსკვერზე მდებარე რესტორნაში ბავშვებს დები სერენა და ვინუს უილიამსები ართობდნენ.




REUTERS ნიუ იორკიდან



REUTERS დებრეცენიდან

# ტანვარჯიშის იერი

რა მოულოდნელი სურათები იცის ტანვარჯიშმა: უნგრულ დებრეცენში მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი მიმდინარეობს. თმაკოკრილი გოგო გერმანელი კატია აბელია, ფეხებშეტყუპული კი ჩინელი ჩჟინ კანგი.



REUTERS დებრეცენიდან

# წინა დღეს

ხვალ სალვადორის დედაქალაქ სან სალვადორში 7 ათასი სპორტსმენი ჩაებმება ცენტრალური ამერიკისა და კარიბეთის სპორტულ თამაშებში. სალვადორელი მოცურავენი ჯენი ველტი (მარცხნივ) და ელისა აგილა კი საშეჯიბრო აუზის წყალს უსინჯავენ გემოს.



REUTERS სან სალვადორიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge